დანართი №2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის - სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **ლევან მადათოვი** ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ზაზა ჭანტურია ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

თამარი ოღლიშვილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ნინო თედორაძე საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

მარიამ მატიაშვილი უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

სალომე არაბიძე ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

ვერა გუდაძე ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

ია სეხნიაშვილი სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

ავთანდილ კეჭაყმაძე მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

მურად ფახურიძე სპორტის საგნობრივი ექსპერტი

მაკა ნატროშვილი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I.

შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	236087710

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი წეროვანი
იურიდიული მისამართი	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი წეროვანი
ფაქტობრივი მისამართი	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი წეროვანი
საფოსტო ინდექსი	3300
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	-
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tserovani1@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577615571

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2023 წლის 26 ივლისის №931988 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 21 და 22 აგვისტო

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი წეროვანი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო		
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო		

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 26 ივლისის №931988 ბრძანების საფუძველზე, 2023 წლის 21 და 22 აგვისტოს, განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლაში (მისამართი: მცხეთის მუნიციპალიტეტი სოფელი წეროვანი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ვიზიტი წარიმართა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის შესაბამისად. განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტებმა შეფასების პროცესი განახორციელეს ადგილზე ვიზიტით, ხოლო ჯგუფის სხვა წევრებმა შეფასების პროცესი განხორციელეს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით სკოლაში არსებულ საგნობრივ კათედრებთან გასაუბრებით. ადგილზე მყოფი ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ადმინისტრაციას, პასუხისმგებელ პირებს, პედაგოგებს, დათვალიერებულ იქნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ადმინისტრაციული ოთახები, საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით რეჟიმში, ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა გააცნო პროცესის ძირითადი მიგნებები სკოლის ადმინისტრაციას.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 300	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა **სრული**

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა **სრული**

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა **სრული**

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*აღწერა*	*შენიშვნა*
3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა არ არის შეთანხმებული საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სამსახურთან; არ არის წარმოდგენილი სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა;	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით ნაკისრი ვალდებულების ვადაში შესრულება (2024 წლის 16 -17 ოქტომბერი) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება და სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის წარმოდგენა
3.5.1.3	სკოლა ქმნის ინკლუზიურ გარემოს	სკოლას არ გააჩნია სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ადვილად მისაწვდომი პანდუსები, სკოლას არ გააჩნია ადაპტირებული საპირფარეშო.	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით ნაკისრი ვალდებულების ვადაში შესრულება (2024 წლის 18 ოქტომბერი) ადაპრტირებული გარემოს შექმნა მათ შორის პანდუსების და სველი წერტილის მოწესრიგება)

VI. რჩევა

სტანდარტი 3		
3.4.1.1		სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სკოლის მიერ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ წარმოდგენილ იქნა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა, ის საკითხები, რომელიც დასკვნის პროექტის ეტაპზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებული იყო როგორც არ შეესაბამება შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება" ან სრულად შეესაბამება. მე-2 სტანდარტი შეფასდა როფორც ,,სრულად შეესაბამება" ასევე 3.6 კომპონენტი შეფასდა როგორც ,,სრულად შეესაბამება".

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. რომელიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს: სკოლის მისიაა სწავლა/სწავლების პროცესში მოსწავლეთა შესაძლებლობების, საჭიროებების, წინარე გამოცდილების გათვალისწინებით, ხელი შეუწყოს წიგნიერი, დემოკრატიული კულტურის, მულტილინგვური, რაოდენობრივი და ციფრული კომპეტენციის მქონე, სოციალური, მეწარმეობის უნარებითა და სამოქალაქო ცნობიერებით აღჭურვილი ახალგაზრდის აღზრდას, რომელიც ინტერკულტურული დიალოგის წარმართვით შეძლებს კარგად გაიაზაროს საკუთრი თავი და კულტურა, დაინახოს საკუთრი ადგილი მსოფლიოში და ხელი შეუწყოს გლობალური უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებას, ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი ახალგაზრდების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლისა და კვლევისათვის აუცილებელი გარემოსა და პირობების შექმნა.**შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლის მომავლის ხედვაა, რომ იგი იყოს მყარი და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული ცოდნის კერა. თანამედროვე მოთხოვნათა და გამოწვევათა შესაბამისად, ზრუნავდეს თავისუფალი და კომპეტენტური ადამიანის ჩამოყალიბებაზე. წვლილი შეჰქონდეს ქვეყნის სამეცნიერო, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში.სკოლის ღირებულებებია:

- ორიენტაცია მუდმივ განვითარებაზე;
- გუნდურობა ;
- გამჭვირვალობა;
- თანასწორობა და თაბარი შესაძლებლობები.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. სკოლის მისიის ხედვის და ღირებულებების პროექტის შემუშავების პროცესში ჩართული იყო მთლიანად სასკოლო საზოგადოება. სკოლაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი,რომელიც თანამშრომლობდა,სამეურვეო საბჭოსთან,პედაგოგიურ საბჭოსთან ,დისციპლინარულ კომიტეტთან,მოსწავლეთა თვითმმართველობასთან და ურთიერთთანამშრომლობისა და შეთანხმების საფუძველზე მოხდა სკოლის მისიის,ხედვის და ღირებულებების განსაზღვრა. დასტურდება შესაბამისი სხდომის ოქმებით და სამუშაო მასალებით. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

4. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლის მისია,ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სამუშაო ჯგუფი თანამშრომლობდა სასკოლო საზოგადოებასთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან და მათი მოსაზრება გათვალისწინებულ იქნა მისიის,ხედვის და ღირებუებების განსაზღვრისას. რაც ასახულია შეხვედრების მასალებსა და სხდომის ოქმში. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

5. ამ ეტაპზე სკოლას არ გააჩნია ვებგვერდი, თუმცა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისა და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, გამოკრულია საჯაროდ დაწესებულების შენობაში. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

6. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448,

2005 წლის 13 სექტემბერი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №194, 2007 წლის 16 მარტი „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“). **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- საჯარო სკოლის წესდება;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინტერვიუ

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლამ წარმოადგინა 2021-2027 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან 2021 წლის 7 სექტემბერს ოქმი №5-ით და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ 2021 წლის 8 სექტემბერს ოქმი №9-ით. სტრატეგია ჩამოყალიბდა სკოლის ადმინისტრაციის, მოწვეული კონსულტანტების და სკოლის დირექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრების ჩართულობით. ამასთან, სკოლა გეგმავს, უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების წვრების - მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების ჩართულობა სტრატეგიის შესრულების მონიტორინგის და შეფასების პროცესში და მათი მოსაზრებების გათვალისწინებით სტრატეგიული განვითარების გეგმაში საჭირო ცვლილებების შეტანა. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლის სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას).სკოლის შესაძლებლობებისა და საქმიანი გარემოს შესწავლის (SWOT ანალიზი), დეკლარირებული მისიისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება/მოვალეობების ფარგლებში სსიპ -მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის №1 საჯარო სკოლას დაგეგმილი აქვს 2021-2027 წლებში იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებით:

- სკოლის მომსახურებების გაუმჯობესება;
- ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების გაძლიერებული სწავლების მქონე სკოლის სტატუსის მიღება;
- სკოლაში განათლების ხარისხის გაუმჯობესებების ხელშეწყობა;ს კოლის ორგანიზაციული განვითარება.საზოგადოებასთან თანამშრომლობა, ცნობადობის შექმნა და გაზრდა

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლას აქვს 1 წლიანი სამოქმედო გეგმა რომელიც ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას; წლის ბოლოს მოხდება სამოქმედო გეგმის შეჯამება სამეურვეო საბჭოზე სასწავლო პროცესისა და ფინანსური ანგარიშგების დროს. სადაც შეჯამდება გეგმით გათვალისწინებული როგორც განხორციელებული, ისე განუხორციელებელი სამუშაოები. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

4. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სამეურვეო საბჭოს ოქმი; N7- სტრატეგიული განვითარების გეგმა
- მშობლებთან შეხვედრის ოქმი
- სტრატეგიული გეგმა;
- სამოქმედო გეგმა;
- ინტერვიუ.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლის სტრატეგიული გეგმა არ მოიცავს სრულყოფილად მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს. როგორც ინტერვიურებისას აღინიშნა, სკოლა წლის ბოლოსთვის გეგმავს მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფის შექმნას და მოხდება სკოლის სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება.**შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**
2. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს მკაფიოდ გაწერილი მონიტორინგისა და შეფასების კრიტერიუმები რითაც შემოწმდება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ხარისხი მაგრამ სკოლაში მიმდინარეობს სასწავლო პროცესის დაკვირვება და ხდება კათედრებზე უკუკავშირი და შეჯამება. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**
3. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შედეგები გამჭვირვალეა სასკოლო საზოგადოებისათვის. წლის ბოლოს 10 დეკემბრამდე დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს მიმდინარე სასწავლო წლის სასწავლო პროცესისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**
4. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლა როგორც ინტერვიუზე აღინიშნა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და რევიზიის შედეგებს გამოიყენებს სკოლის შემდგომი საქმიანობისათვის. სკოლაში სასწავლო პროცესის მონიტორინგისთვის ხდება გაკვეთილებზე დასწრება, კათედრებზე განხილვა, ანალიზი და უკუკავშირი, ურთიერთთანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება. ხდება ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი. პრობლემებთან დაკავშირებით, ისახება მისი აღმოფხვრის გზები. ხდება პრევენცია და გათვალისწინებულია ინტერვენცია **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სამეურვეო საბჭოს ოქმი; N7- სტრატეგიული განვითარების გეგმა
- მშობლებთან შეხვედრის ოქმი
- სტრატეგიული გეგმა;
- სამოქმედო გეგმა;
- ინტერვიუ.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სტრუქტურულ ერთეულებს წარმოადგენს: დირექცია, ადმინისტრაცია, ტექნიკური პერსონალი, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლაში მოქმედებს საგნობრივი კათედრები. საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებაში ჩართულია თითოეული სტრუქტურული ორგანო, რომელთა ერთობლივი მუშაობით თავისი კომპეტეციის ფარგლებში ზრუნავენ და პროცესს წარმართვენ სკოლაში მოქმედი სტუქტურული ერთეულების პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული სკოლის შინაგანასწესით, სასკოლო სასწავლო გეგმით, შრომითი ხელშეკრულებებით და დირექტორის ბრძანებებით. სკოლის პერსონალი შედგება 30 პირისგან: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, ექთანი, 2 დამლაგებელი, 2 დარაჯი, 19 მასწავლებელი (მათ შორის 2 ადმინისტრაციის წარმომადგენელია, 1 სპეცმასწავლებელი. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. თუმცა სასურველია შეიქმნას დოკუმენტი რომლითაც სკოლა უზრუნველყოფს სტრუქტურის, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების ერთიან აღწერას. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის წესდება
- სკოლის შინაგანაწესი
- სკოლის სტრუქტურა

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, ხელშეკრულებები გაფორმებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით, ვაკანსიის არსებობისას იქმნება კომისია და ვაკანსია ცხადდება საჯაროდ teacherjobs.ge ზე ან/და hr.gov.ზე **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2. სკოლას შემუშავებული შემუშავებული პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც ქმნის საჭიროებებზე დაფუძნებულ პერსონალის შერჩევის მექანიზმებს. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

3. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლის პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით; სკოლაში ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატის შერჩევის მიზნით, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის გამოსავლენად ობიექტურობის ,გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, საჯაროობის, კოლეგიურობისა და სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინებით, შემუშავებულია თანამშრომელთა კონკურსის ჩატარების წესი. პირად საქმეებში განთავსებულია ნასამართლობის ან/და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობისა და უფლების ჩამორთმევის ცნობები. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

4. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლაში პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს რაც გათვალისწინებულია კადრების შერჩევის დროს წამოყენებულ მოთხოვნებში და დასტურდება პირადი საქმეების შესწავლითა და გასაუბრებით. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

5. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს; სკოლაში შრომით რესურსებს მიეკუთვნებიან მასწავლებლები, ადმინისტრაციის წევრები, ტექნიკური პერსონალი, სხვადასხვა პროფესიის და კვალიფიკაციის ადამიანები რომლებიც ურთიერთთანამშრომლობენ გუნდური მუშაობის და გაზიარებული ლიდერობის პრინციპით და მათი შეთანხმებული საქმიანობა განაპირობებს სკოლის ეფექტიანობას. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

6. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი, მაგალითად კათედრების შეხვედრებზე ურთიერთთანამშრომლობა, საუკეთესო მაგალითის გაზიარება, უკუკავშირი. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი
- სკოლის სტრუქტურა
- პერსონალის მართვის პოლიტიკა
- ინტერვიუ

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები, რაც დგინდება მათი მუშაობის დაკვირვებისა და მონიტორინგის შედეგად; **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**
2. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლას,პერსონალის განვითარების საჭიროების დადგენის შემდეგ ,პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;ხდება მათი დარეგისტრირება სხვადასხვა ტრენინგებზე,საჭიროების მხრივ.**შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**
3. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლა უწყობს პერსონალის განვითარებას და კარიერულ ზრდას,სხვადასხვა ტრენინგების,ვებინარებისა და ქოუჩინგის საშუალებით.სკოლა უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის სოციალიზაციას და გაწერს იმ აქტივობებს რაც ხელს შეუწყობს მისი კვალიფიკაციის ამაღლებას და განვითარებას.**შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**
4. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან,მათ ადაპტაციასა და სოციალიზაციას ახალ გარემოსთან,ხელს უწყობს ახალი თანამშრომლის ახალ სამუშაო გარემოსთან შეგუების პროცესს.**შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**
5. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.განსაზღვრულია ფინანსური და არაფინანსური მოტივაციის სტრატეგიები რაც სკოლის შინაგანაწესითაა განსაზღვრული.**შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი
- პერსონალის მართვის პოლიტიკა
- ინტერვიუ

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობა არის პროცესებზე ორიენტირებული. საგანმანათლებლო პროცესების მსვლელობისას ცხადია იქმნება გარკვეული დოკუმენტები. სასკოლო სასკოლო საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი (დაგეგმვა, დანერგვა,

მონიტორინგი და შეფასება, რევიზია), რომელიც პროცესების კვლევას და მათ შემდგომ განვითარებას გულისხმობს. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობისთვის ახორციელებს როგორც მმართველობით, ძირითად, ასევე დამხმარე პროცესებს, რომელიც აღწერილია სკოლის მიერ შედგენილ სასკოლო კურიკულუმი, შრომის შინაგანაგანაწესში. აღნიშნული პროცესები ხელს უწყობს სკოლის მისიისა და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მიზნების მიღწევას. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

3. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა; სკოლაში შექმნილია და ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინარული კომიტეტი, სადაც მოსწავლეებს, მშობლებსა და მის კანონიერ წარმომადგენლებს შეუძლიათ გადაწყვეტილებების გასაჩივრება კანონმდებლობის შესაბამისად.**შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

4. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები რაც გაწერილია სკოლის შინაგანაწესში, სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინარული კომიტეტის ფუნქციონირებაში. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი
- პერსონალის მართვის პოლიტიკა
- ინტერვიუ

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლაში პროცესებთან მიმართებით ხდება მონიტორინგი,ურთიერთთანამშრომლობა კათედრებზე, სასკოლო საზოგადოების წევრებისგან უკუკავშირის მიღება რაც ეფექტურია მოსაზრებებისა და გამოცდილების გასაზიარებლად. ეს მექანიზმები შესაძლოა სხვადასხვა იყოს სხვადასხვა პროცესებისთვის. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**
2. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლაში ყველა დაინტერესებულ მხარეს აქვს მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართვისა და მონაწილეობის შესაძლებლობა. მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს საკუთარი აზრის გამოთქმისა და პოზიციის დაფიქსირების, გადაწყვეტილების პროცესში მონაწილეობის საშუალება ეძლევათ სხვადასხვა მმართვის ორგანოებში ჩართულობით,მაგალითად პედაგოგიური საბჭო,სამეურვეო საბჭო,მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინარული კომიტეტი, აძლევს მათ სკოლის დემოკრატიული მართვის პროცესში მონაწილეობისა და საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალებას. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სამეურვეო საბჭოს ოქმი,
- შინაგანაწესის საჯაროობა (ფოტო)
- მშობელთა კრების ოქმი
- ინტერვიუ

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს უსაფრთხო სასკოლო გარემოს, დაცულია ფიზიკური უსაფრთხოება, საგანგებო სიტუაციების დროს შექმნილია შტაბი სადაც დეტალურადაა აღწერილი საგანგებო მდგომარეობის დროს გაწერილია ფუნქცია-მოვალეობები.სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურთან და ყავს 2 მანდატური.სკოლას ყავს ექთანი, რომელიც შერჩეულია კანონმდებლობით დადგენილი წესით. 2 კონკურსის შედეგად ვერ შეირჩა ექიმი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით, საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეულ იქნა ექთანი. შენობაში გამოკრულია საევაკუაციო გეგმა და სახანძრო უსაფრთხოებისათვის საჭირო ყველა რესურსი. განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. **თუმცა, მართვის გეგმა არ არის შეთანხმებული საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სამსახურთან, ასევე არ არის წარმოდგენილი სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა, წარმოდგენილია 2021 წლის მიწერილობა და შესრულებულია სამუშაოების 95%**, **თუმცა დადებითი დასკვნა გაიცემა სამუშაოების სრულად დასრულების შემდეგ. წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, დასკვნა წარმოდგენილი იქნება 2024 წლის 17 ოქტომბრამდე.**
წარმოდგენილია დასკვნა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების შესახებ (ლ.სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა N005529723) **მეტწილად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურთან და ყავს 2 მანდატური. სკოლას აქვს უსაფრთხოების კამერები. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

3. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლა უზრუნველყოფილია პოზიტიური სასკოლო გარემო, მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ფსიქოლოგიური და ემოციური მხარდაჭერა.**შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

4.სკოლას ყავს რეფერირების პროცედურებზე პასუხისმგებელი პირი რომელსაც ევალება ბავშვის მიმართ ძალადობის პრევენცია, ძალადობის შემთხვევათა გამოვლენა და სათანადო რეაგირება. არსებობს რეფერირების შიდა ინსტრუქცია და ხორციელდება რეფერირების პროცედურები ბავშვზე ძალადობის/სავარაუდო ძალადობის შემთხვევაში. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

5სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას.სკოლას ყავს დამლაგებლები, ექთანი.ტარდება მონიტორინგი სკოლაში სისუფთავისა და ჰიგიენური ნორმების შესამოწმებლად.**შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

6. ვინაიდან,პერსონალური მონაცემების დაცვა ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგეს,ნოქალაქევის საჯარო სკოლაში დაცულია პერსონალური მონაცემები ,პერსონალურ დაცვის კანონის შესაბამისად. საზოგადოების ყველა წევრის პერსონალური მონაცემები დაცულია.**შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

7სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლას გააჩნია პერსონალური ინფორმაციის დაცვის მექანიზმი,ხელმძღვანელობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონის შესაბამისად.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.ხდება მონიტორინგი,დაკვირვება და შედეგების ანალიზზე ხდება რეაგირება და ცვლილებების განხორციელება. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბრძანება პერსონალურ მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის,
- ბრძანება საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა,
- რეფერირების ბრძანება,
- საევაკუაციო გეგმა
- ინტერვიუ

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლას სარგებლობის ხელშეკრულების საფეძველზე სახელმწიფოს მიერ გადაცემული აქვს მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები 12025 კვ.მ მიწის ნაკვეთი და 1456.3 კვ., შენობა ნაგებობას, სკოლის მატერიალური რესურსის გათვალისწინებით ამჟამად აქვს 300 მოსწავლისათვის არსებული მერხი და სკამი. სკოლის საკუთრებასი არსებული ფართი: საკლასო ოთახები,სკოლის ეზო,დერეფანი,ბიბლიოთეკა,ისტის ოთახი,ბიბლიოთეკა,სკოლის შიდა დარბაზი,იძლევა საშუალებას მოსწავლეებმა შეძლონ სასწავლო პროცესში სხვსდასხვა აქტივობებში ჩართვა და სრულფასოვანი დასვენება.სკოლა სრულადაა აღჭურვილი გამართული ინფრასტრუქტურითა და საჭირო რესურსებით.
2. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსები თანაბრადაა მისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისათვის.სკოლაში არსებული რესურსებით,ბიბლიოთეკით, რესურსოთახით, კომპიუტერული ლაბორატორიით, სპორტული დარბაზით სარგებლობს სასკოლო საზოგადოება მიუკერძოებლად და თანაბრად,რაც ხელს უწყობს ეფექტური სასწავლო პროცესის წარმართვას.
3. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლს ინფრასტრუქტურა გამართულია და თუმცა . **სკოლას არ გააჩნია სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ადვილად მისაწვდომი პანდუსები,თუმცა რესურსოთახი განლაგებულია პირველ სართულზე,სკოლას არ გააჩნია ადაპტირებული საპირფარეშო. წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად სკოლა 1 წელიწადში 2024 წლის 18 ოქტომბრამდე უზრუნველყოფს ადაპტირებული გარემოს შექმნას.**
4. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები ერთმანეთთან, სასკოლო საზოგადოებისა და თემის სხვა თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან.
5. სკოლის სპორტული დარბაზი, ინტერნეტი და კომპიუტერული ტექნიკა, სკოლის ეზო და სხვა მატერიალური რესურსი/ინფრასტრუქტურა გაზიარებულია ადგილობრივი საზოგადოებისთვის.ბიბლიოთეკა ხელს უწყობს სასკოლო

საზოგადოების ცოდნისა და ღირებულებების განვითარებას. უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო, ასევე დამხმარე რესურსების ხელმისაწვდომობას როგორც ელექტრონულად, ისე მატერიალური სახით, სკოლის მიერ დადგენილი წესით; უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო რესურსების სისტემატიზაციას და განახლებას სასკოლო საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით; სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები.გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელო/სერია; სკოლის ძირითადი რესურსებია, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე სამინისტროსთან შეთანხმებული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები. დამატებითი საგანმანათლებლო (მათ შორის, ელექტრონული) რესურსები; სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.).

დასტურდება (მტკიცებულებები):

- **ამონაწერი საჯარო რეესტრიდან**
- **შიდა აზომვითი ნახაზი**
- **ვიზუალური დათვალიერება**
- **ინვენტარიზაციის აქტი**

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის წარმართვას; სასწავლო პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიები ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის სრულფასოვან წარმართვას, მოსწავლეებისათვის სასწავლო პროცესის გახალისებას/გამრავალფეროვნებას; მასწავლებლებსა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს შორის გამარტივებულ კომუნიკაციას. სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია ლეპტოპები **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**
2. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია თანაბრად მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს, რომ კომპიუტერები და შესაბამისი მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პერსონალისთვის და არეგულირებს ტექნიკით სარგებლობის პირობებს, გამოყენების მიზნობრიობას და ყველას მიერ თანაბარი ხელმისაწვდომობას. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კომპიუტერული ლაბორატორია
- ინტერვიუ

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი. საქმისმწარმოებელს თავის ფუნქცია-მოვალეობები გაწერილი აქვს და მის მიხედვით ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს. საქმისწარმოების წესი განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს, აღნიშნული წესით შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს მოქმედ კანონმდებლობასთან და აზუსტებდეს შემდეგ საკითხებს: დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურები, დოკუმენტების ფორმები და ტიპები, გასული და შემოსული კორესპონდენციების რეგისტირირება, პერსონალისა და მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოების წესი, დოკუმენტების შედგენა, გაფორმება, დავალებების შესრულების კონტროლი და გაგზავნა, ინფორმაციის გაცემის წესი, ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების აღრიცხვის წესი, დოკუმენტების გადაცემა არქივისთვის ან საარქივო დოკუმენტების გამოყენება და სხვა. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

2. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლა იყენებს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემას (e-flow, ელექტრონული ფოსტა და სხვა ალტერნატივები), იყენებს გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის. მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებს, როგორებიცაა: Google, office 365 და სხვა პლატფორმები. დაწესებულება სრულყოფილად ასახავს ინფორმაციას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

3. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.დაწესებულება სრულყოფილად ასახავსს ინფორმაციას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

4. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. დაწესებულებას საქმისწარმოების წესით განსაზღვრული აქვს ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპოდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა, რომელთა დაცვითაც უზრუნველყოფს შესაბამის პროცესებს.**შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საქმისწარმოების წესი

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აგააჩნია ვებ-გვერდი. სკოლა ასევე სარგებლობს სოციალური ქსელით. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**
2. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო ინფორმაციის გავრცელებას; სკოლას ამ

ეტაპზე არ გააჩნია საკუთარი ვებ გვერდი. სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაცია დაწესებულების აქტივობების, მიღწევების, ჯილდოების, საერთაშორისო თუ ქვეყნის შიდა პარტნიორობის, სხვადასხვა ორგანიზაციების წევრობის შესახებ და სხვა სახის ინფორმაციას ასახავს. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

3. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; დაწესებულების მიერ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად აქტიურად გამოიყენებს არსებულ საკომუნიკაციო არხებს. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

4. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლას უკვე აქვს აქვს ვებ გვერდი ასევე იყენებს სოციალური ქსელის სხვა საშუალებებს. სოციალური ქსელის ფარგლებში სკოლა იყენებს ფეისბუქის (Facebook) გვერდს. რომელიც, საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

5. ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.**შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

https://skolebi.emis.ge/schools/1270?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%9B%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%20%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E2%84%961%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლის ფინანსური რესურსით ნაწილობრივ შესაძლებელია სამოქმედო გეგმის განხორციელება. ბიუჯეტის დაგეგმვისას განსზღვრულია სავარაუდო შემოსავლები,მომდევნო წლის პრიორიტეტები, სავარაუდო ხარჯები, საბიუჯეტო პოლიტიკა და კალენდარი. დაგეგმვის პროცესი გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმიდან და დაგეგმვის პროცესში ჩართულნი არიან სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები, რაც უზრუნველყოფს ყველას ინტერესების შეძლებისდაგვარად გათვალისწინებას, ბიუჯეტირების დაგეგმვის პროცესი დინამიკურია. შესაძლებელია, საჭიროებიდან გამომდინარე, ცვლილებების შეტანა და გადამტკიცება, სკოლის ფინანსური მართვაზე კონტროლს ახორციელებს სამეურვეო საბჭო. მისი თანხმობით მტკიცდება ბიუჯეტი და სასწავლო წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს ბარდება ფინანსური ანგარიში. სკოლის ბიუჯეტის დაგეგმვა ხდება სხელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული თანხებით (ვაუჩერი, მასწავლებელთა სერთიფიცირების დანამატი, სსსმ მოსწავლეთა დაფინანსება და ა.შ.) 2022 წლის ბიუჯეტი დაიგეგმა 2021 წლის 10 დეკემბერს. ყოველი წლის დასაწყისში სკოლა საგანმანათლებლო რესურსცენტრში წარადგენს ფინანსური შედეგების ანგარიშგებას (წლიური ბალანსი). ყოველი წლის ბოლოს დირექტორი გამოსცემს ბრძანებას სკოლაში ინვენტარიზაციის ჩასატარებლად. საინვეტარიზაციო კომისიის შემადგენლობის შესახებ. კომისია ახდენს მცირეფასიანი ინვენტარის აღწერას, რაც შემდგომ გადაეცემა ბუღალტერს, რომლის მიერაც ძირითად საშუალებებს ერიცხებათ ცვეთა. მიღებული შედეგები აისახება წლიურ ბალანსში. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №1 საჯარო სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. სკოლა ყოველწლიურად ადგენდეს სკუთარი ფინანსურ ანგარიშს.სასწავლო წლის 10 დეკემბრამდე აბარებს ფინანსურ ანგარიშს სამეურვეო საბჭოს. ფინანსური დაგეგმვის პროცესი ძირითადად ეყრდნობა პროგნოზებს და შეუძლებელია ყველა იმ გარემოების გათვალისწინება, რომელიც ზემოქმედებს დაგეგმილ ბიუჯეტზე. ამდენად ცვლილებების განხორციელება თანმდევი პროცესია. ხორციელდება პროცესების მონიტორინგი და დროული რეაგირება მოსალოდნელ ცვლილებებზე (დეფიციტზე ან პროფიციტზე). აუცილებელი მონიტორინგის შედეგების

დოკუმენტირება ანგარიშის სახით. საბიუჯეტო კალენდარში წინასწარ არის გაწერილი მონიტორინგის განხორციელების ვადები. პერიოდული ფინანსური ანალიზის ჩატარება აუცილებელია სკოლის სტაბილურობის შესაფასებლად.

სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის აუცილებელია სხვადასხვა საქონლის მომსახურეობის შესყიდვა. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესყიდვის წესისა და წლიური გეგმის საფუძველზე 20 ნოემბრამდე ხდება შესყიდვის გეგმის დამტკიცება. დამტკიცებული გეგმა იტვირთება შესყიდვების ელექტრონულ სისტემა ePLAN -ში. შესყიდვის წესის შესაბამისად ხორციელდება ბაზრის კვლევა და ხორციელდება შესყიდვები. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ინტერვიუ
- სკოლის ბიუჯეტი
- შესყიდვის დოკუმენტაცია
- ინვენტარიზაციის აქტი.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა.**

სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის N 1 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან დასტურდება, რომ სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა. აღნიშნული ინდიკატორის დადასტურებას სკოლა ახდენს შინაგანაწესში გაწერილი მუხლების თანახმად (თავი 10. - დასაქმებულის წახალისების ფორმები და წესი. მუხლი 11. მოსწავლის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი. მუხლი 15. - მოსწავლეთა დისციპლინური წარმოების წესი. მუხლი 16. - მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობების სახეები. მუხლი 17. - მოსწავლეთა მიერ დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები. მუხლი 19. - მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი. მუხლი 21. - დასაქმებულის და მოსწავლის მატერიალური პასუხისმგებლობა. მუხლი 22. - განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი.

სკოლაში ვიზიტისას დათვალიერების და ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ სკოლის შინაგანაწესი არის საჯარო და მას იცნობს სასკოლო საზოგადოება. კლასების დამრიგებლები სხვადასხვა აქტივობებით სწავლის დაწყების წინ აცნობენ მშობლებსა და მოსწავლეებს შინაგანაწესს - მათ უფლებებსა და მოვალეობებს. ინფორმაციის გაცნობა ხდება სადამრიგებლო შეხვედრებზე (მშობელთა კრება, კლასის საათი), ვიზუალური დათვალიერების დროს დადასტურდა, რომ სკოლის შენობის სამივე სართულზე, საინფორმაციო დაფაზე თვალსაჩინოდ არის გამოკრული შინაგანაწესი. მშობლებთან დადებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია სკოლის შინაგანაწესის გაცნობა, რაც დადასტურებულია მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერით.
სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგურილებელი წესი და აღნიშნული წესის მონიტორინგის მექანიზმები, რომლის ფარგლებშიც ჩამოყალიბებულია დასაქმებულთა და მოსწავლეთა პერსონალური ინფორმაციის დაცვის ძირითადი პრინციპები. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას ბრძანებით დამტკიცებული ჰყავდა პერსონალურ მონაცემების დაცვის მონიტორინგზე

პასუხისმგებელი პირი, თავად წესი და მარეგულირებელი დოკუმენტი არ იყო შემუშავებული და დამტკიცებული. ვიზიტის დროს სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ გაეწერა და ბრძანებით დაემტკიცებინა პერსონალური დაცვის მარეგულირებელი წესი და მხოლოდ ამის შემდგომ დაემტკიცებინა აღნიშნული წესის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. ვიზიტის პროცესში სკოლამ შექმნა აღნიშნული დოკუმენტი, რომელშიც ჩამოყალიბებულია დასაქმებულთა და მოსწავლეთა პერსონალური ინფორმაციისა და მონაცემთა დაცვის ძირითადი პრინციპები. წარმოადგინა ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგურილებელი წესისა და აღნიშნული წესის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფის შესახებ. (ბრძანება N84 / ძ.ს. 22 .08.2023 წ.)

სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის N 1 საჯარო სკოლის მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციებით: სკოლის შინაგანაწესი, სკოლის წესდება, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, პერსონალურ ინფორმაციათა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები და რეგულაციები, სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორს დადებული ხელშეკრულებები მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას სრულად უზრუნველყოფს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის N 1 საჯარო სკოლის შინაგანაწესი დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. (2018 წლის 10 სექტემბერი. ოქმი N 7) სკოლა პრაქტიკით ადასტურებს, რომ სკოლის შინაგანაწესის გაცნობა პედაგოგებისთვის ხდება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და გაზიარებულია სამეურვეო საბჭოს წევრების (მასწავლებელი, მშობელი, მოსწავლე) მიერ. მოსწავლის მშობელთან ან კანონიერ წარმომადგენელთან და პედაგოგებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებზე ხელმოწერით ადასტურებენ სკოლის შინაგანაწესის გაცნობას. (დასაქმებულთან დადებული ხელშეკრულება - მუხლი 3. მშობელთა კრების ოქმი N 1.)

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

სკოლაში ვიზიტისას ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან. თუმცა ვიზიტის პროცესში ხელშეკრულებების შემთხვევითობით გადამოწმების დროს აღმოჩნდა, რომ ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან არ იყო გაფორმებული ხელშეკრულება. სკოლას მიეცა

რეკომენდაცია, რომ ყველა მოსწავლის მშობელთან გაეფორმებინა კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება და ჩაედო პირად საქმეში. უკვე გაფორმებული ხელშეკრულებებში განსაზღვრულია სკოლის საქმიანობა, მხარეთა უფლება-მოვალეობები, ხელშეკრულების საგანი, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, ხელშეკრულების შეწყვეტის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და დავის გადაწყვეტა, მხარეთა ხელმოწერები. ხელშეკრულებაში გაწერილი პუნქტები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის წესდება;
- სკოლის თვითმმართველობის დებულება;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები .
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი.
- პერსონალურ მონაცემთა მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ
- შეხვედრის ოქმი (დამრიგებელი)
- ხელშეკრულება პირად ინფორმაციაზე მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N 04/ნ ბრძანების შესაბამისობით.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იძებნებოდა და ვიზიტის დროსაც დადასტურდა, რომ სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით არა აქვს განსაზღვრული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. აღნიშნული რეგულაციას სკოლა ანხორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N 04/ნ ბრძანებით. გამოცემული შიდა ბრძანებებით ახდენს *მოსწავლეთა ჩარიცხვის, მოსწავლეთა სტატუსის შეჩერების, მობილობისა და გასაჩივრების წესს. (* მაგ; ბრძანება N 147/ძ.ს*)* სკოლას **მიეცა რჩევა, აღნიშნულ დოკუმენზე დაყრდნობით ცალკე წესის სახით** შექმნას და ბრძანებით დაამტკიცოს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. სკოლას მიეცა რჩევა, რომ შექმნას და ცალკე დოკუმენტის სახით დაამტკიცოს, ან სკოლის შინაგანაწესის რევიზიის საფუძველზე გააკეთოს ჩანამატი ისეთი ჩანაწერის სახით, რომელიც დაარეგულირებს სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის წესს.

სკოლას მიეცა რჩევა,რომ შექმნილი დოკუმენტი შეესაბამებოდეს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ და 2010 წლის 1 ოქტომბრის N98 /ნ ბრძანებებთან.

სკოლას წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული აქვს საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით დასტურდება საფეხურის დაძლევის, მობილობის მექანიზმები. სკოლის არსებული პრაქტიკა მიუთითებს, რომ ის იცავს წარმოდგენილი წესით განსაზღვრულ რეგულაციებს. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა ბრძანება მოსწავლეთა ჩარიცხვის შესახებ. (ბრძანება N 32 / ძ.ს) თუმცა არ წარმოუდგენია ცალკე დოკუმენტის სახით შემუშავებული წესი, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეთა ჩარიცხვის წესს.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლაში მოქმედებს ,,ნორჩი გრამატიკოსების" წრე. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა წესდება და სამოქმედო გეგმა. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ორ უცხო ენას - ინგლისური და რუსული. (სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული) სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები და პირობები სასკოლო სასწავლო გეგმაშია ასახული. სკოლაში ვიზიტის დროს ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ 2023/2024 სასწავლო წლიდან სთავაზობს ხალხური ცეკვების შემსწავლელ წრეს. აღნიშნული მომსახურება გათვალისწინებულია სსგ-ში.

სკოლას გააჩნია მოსწავლეებისათვის ტრანსპორტირების მომსახურეობის სერვისი. ადგილზე ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა ტრანსპორტის ტაბელი.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის საჯარო სკოლის პრაქტიკიდან დასტურდება, რომ სკოლა განახლებულ ინფორმაციას სისტემატურად აწვდის მშობლებს დამრიგებლების მეშვეობით. სხვადასხვა პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ

ინფორმაცია ვრცელდება ,,Teams" პლატფორმის, პირისპირ შეხვედრის საშუალებით. სკოლის წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს დააზუსტეს, რომ აქტიურად იყენებენ საინფორმაციო დაფას. მაგალითად მოიყვანეს პედაგოგების ინიციატივით გახსნილი სასკოლო წრე, როგორც დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება (უფასო) ***„ნორჩი გრამატიკოსი"***-ის შექმნის ინიციატივა მოდიოდა სასკოლო საზოგაოდების მხრიდან. სკოლის ადმინისტრაციამ დაორგანიზა პედაგოგის და დაინტერესებული მშობლების შეხვედრა. შეხვედრაზე სკოლის ადმინისტრაციამ ხელი შეუწყო პედაგოგს პრეზენტაციის სახით წარედგინა წრის სამოქმედო გეგმა, მიზნები, ამოცანები სკოლის სივრცეში. შედეგად მშობლებმა წარმოადგინეს განცხადება, მოსწავლეთა წრის საქმიანობაში ჩართვის თანხმობის შესახებ. სკოლის ადმინისტრაციის და სასკოლო საზოგადოების ჩართულობით ხელოვნების და ქართული ენის პედაგოგების
ინიციატივით ჩატარდა სასკოლო აქტივობები: ,,ჩვენ ვსწავლობთ კეთებით", ,,ერთად ამოვხსნათ გზავნილების საიდუმლო"-ეს
სკოლას აქვს პრაქტიკა სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელებთან რეგულარული შეხვედრების შესახებ. ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა შეხვედრების დამადასტურებელი მასალები.
2023/2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს ხალხური ცეკვების წრის შეთავაზებას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ტრანსპორტირების ტაბელი;
- საფეხურის დაძლევის ბრძანება;
- სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანება;
- ამორიცხვის ბრძანება;
- პედ. საბჭოს ოქმი საფეხურის დაძლევა;
- მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა სსსმ მოსწავლეზე;
- მეორე უცხო ენა- მშობელთა კრების ოქმი;
- მშობლის განცხადება წრეზე

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას პრაქტიკით დასტურდეს, რომ განსაზღვრული აქვს სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი. სკოლის ადმინისტრაციამ და პედაგოგებმა ინტერვიუს დროს მოიყვანეს კონკრეტული მაგალითები; პირველი კლასის აღსაზრდელები სტუმრად მოდიან წეროვანის N 1

საჯარო სკოლაში. მათთან ეწყობა შეხვედრები, ღია კარის დღეებს. თუმცა ვერც წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ვერც ვიზიტის დროს გამოთხოვილი მასალებით სკოლამ ვერ დაადასტურა, რომ შემუშავებული აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი. წარმოდგენილ შინაგანაწესშიც არ იყო აღნიშნული მექანიზმი გათვალისწინებული. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ ცვლილება შეიტანოს შინაგანაწესში, ან ცალკე შეიმუშავოს მექანიზმი, რომლის თანახმადაც განსაზღვრავს სკოლაში მობილობით გადმოსული მოსწავლის, პირველ კლასელის, სსსმ მოსწავლის სასკოლო სივრცეში ადაპტაციის დეტალურ ინსტრუქციას.

სკოლის პრაქტიკით დასტურდება, რომ სკოლის ადმინისტრაცია პრველკლასელი მოსწავლეების და მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლებს, მათთვის ხელმისაწვდომი ფორმით, აწვდის დეტალური ინფორმაციას სასწავლო პროცესის ორგანიზების მიმართულებით არსებული და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს დასაცავი რეგულაციების შესახებ. სკოლამ წარმოადგინა სკოლამდელი დაწესებულების აღსაზრდელებისა და მათი მშობლების ვიზიტის დამადასტურებელი ფოტო მასალა. ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ აღნიშნული პრაქტიკით სკოლის ადმინისტრაცია მიზნად ისახავს მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. 2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლაში არსებული პრაქტიკა ადასტურებს, რომ სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. წარმოდგენილი მასალები (ღია კარის დღეების ამსახველი ფოტო მასალა) მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი სკოლის პრაქტიკიდან გამომდინარეა შექმნილი. სკოლას აქვს პრაქტიკა, სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელები მშობლებთან ერთად მოიწვიოს სკოლაში, გააცნოს სასკოლო აქტივობები და ჩართოს სასკოლო ცხოვრებაში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლაში ვიზიტისას შესწავლილი დოკუმენტებიდან დასტურდება, რომ აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და სწავლის პროცესის მხარდაჭერის მიზნით საკონსულტაციო ფორმით დახმარებას უწევს მოსწავლეებს. სკოლამ ვიზიტისას წარმოადგინა წლიური, სემესტრული და ექსტერნის გამოცდების წინარე პერიოდში საკონსულტაციო გრაფიკი, რომლის მიხედვითაც მოსწავლეებს უტარდებათ დამატებითი

მეცადინეობები სხვადასხვა საგნებში. სკოლის ადმინისტრაციას ბრძანებით დამოწმებული ჰქონდა საგამოცდო კომისია, გამოცდებზე პასუხისმგებელი პირი, გამოცდების განრიგი. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მ/შ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, რომლითაც დამტკიცდა საგამოცდო შედეგები. ვიზიტისას ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ სკოლაში დაგეგმილი გამოცდების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და განთავსებულია სკოლის შიდა სივრცეში, საინფორმაციო დაფაზე. სკოლას მოქმედი პრაქტიკით განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა მხარდაჭერა და კონსულტირება აკადემიური მიღწევებს გასაუმჯობესებლად. სკოლა ცდილობს ხელი შეუწყოს მოსწავლეებს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში. სასწავლო პროცესში იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს: თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის ზეპირი თუ წერილობითი უკუკავშირი. რომელიც ეხმარება მოსწავლეებს სწავლაში და შედეგების გაუმჯობესებაში. სკოლაში ვიზიტისას წარმოდგენილი მასალების მიხედვით დასტურდება, რომ მოსწავლეების მხრიდან გაცდენილი გაკვეთილების ან მოსწავლეთა საჭიროებებიდან მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან მომართვის შემთხვევაში სკოლას გათვალისწინებული აქვს დახმარების სხვადასხვა ფორმა, მაგალითად: დამატებითი მეცადინეობა, კონსულტირება ვადებისა და ფორმის მითითებით. რიგ შემთხვევაში ესგ-ით გათვალისწინებულ საგნებში არასაგაკვეთილო დროს მოსწავლეებთან ტარდება ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იძებნებოდა მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი. ვიზიტისას სკოლამ ვერ წარმოადგინა მის მიერ შემუშავებული და ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი. ვიზიტის დროს მიეცა რეკომენდაცია-რჩევა, რომ შექმნას და ბრძანებით დაამტკიცოს მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმები. ვიზიტის დროს სკოლამ განაცხადა, რომ 2023/2024 სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშავებდა დაბრძანებით დაამტკიცებდა აღნიშნულ მექანიზმებს.

სკოლის ელექტრონული ჟურნალი ხელს უწყობს მოსწავლის მშობელმა დროულად და სისტემატურად მიიღოს ინფორმაცია მისი შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ.

სკოლა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და სწავლის პროცესის მხარდაჭერის მიზნით საკონსულტაციო ფორმით დახმარებას უწევს მოსწავლეებს.

სკოლის შიდა წლიური, სემესტრული და ექსტერნის გამოცდების წინარე პერიოდში საკონსულტაციო გრაფიკის მიხედვით უტარდებათ მოსწავლეებს მეცადინეობები. საგამოცდო საგნებში კონსულტაციების გრაფიკი და გამოცდებზე პასუხისმგებელი პირი არის სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი. (ბრძანება N 44/ ძ.ს)

გამოცდების შედეგების დამტკიცება, განსაზღვრულია დირეტორის მ/შ. ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით. (ბრძანება N 46/ძ.ს.) სკოლას საკუთარ რეგულაციებში განსაზღვრული აქვს მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური

ინფორმირების მექანიზმები მათი აკადემიური მიღწევების შესახებ (კონფიდენციალურობის დაცვით - ვიზიტის დროს სკოლამ ინტერვიუთი დააზუსტა, რომ პირისპირ შეხვედრები იმართება ინდივიდუალურად).

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის წეროვანის N 1 საჯარო სკოლის პრაქტიკა ადასტურებს, რომ სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები კრებებზე მოსწვლის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს უზიარებენ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეგულაციებს მოსწავლეების გაცდენების, გამოცდების, შემაჯამებელი დავალებების, შემაჯამებელი დავალების აღდგენის და სხვა წესის შესახებ. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა დამრიგებლის პორტფლიო, სადაც ცალკე დოკუმენტის სახით წარმოდგენილი იყო ოქმი, რომლითაც ხელმოწერით დასტურდება რომ დამრიგებლები მშობლებს აცნობენ შინაგანაწესით განსაზღვრულ უფლებებსა და მოვალეობებს. სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, შესაბამისი ინვენტარით და მედიკამენტებით, სკოლის ექთანი ახორციელებს შეხვედრებს მოსწავლეებთან ექიმის საათის ფარგლებში._სკოლას აქვს პრაქტიკა, ექსტერნის გამოცდებთან დაკავშირებით.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

სკოლის მიერ წახალისებულია მოსწავლეთა მხრიდან ინიციატივები. წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ სკოლის ადმინისტრაცია მონაწილეობდა მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით გამართულ შეხვედრებში. დააორგანიზა და უზრუნველყო თვითმმართველობის მიერ ინიცირებული აქტივობები სკოლაში არსებული ყველა სახის სასწავლო, ადამიანური რესურსით

და კომპიუტერული ტენიკით. განხორციელდა სკოლის მიერ მხარდაჭერილი თვითმმართველობის მიერ ინიცირებული სასკოლო პროექტები აქტივობები: გარემოს დასუფთავება; ხის დარგვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სასწავლო აქტივობა ,,იზრუნე გარემოზე-დარგე ხე" (აქტივობა განხორციელდა, მშობელთა, ადმინისტრაციის მხარდაჭერით და მონაწილეობით) პრეზენტაცია-ბულინგზე; პოეზიის საღამო ,,ჩვენ გვიყვარს პოეზია"; პრეზენტაცია „ჩვენი თვალით დანახული აფხაზეთი" (სამინისტროს მიერ ინიცირებული); მე-8-მე9 კლასებამ ქართული ენის პედაგოგის დახმარებით და ინიციატივით განახორციელეს პრეზენტაცია-„ჩემი საყვარელი წიგნი". სკოლაში მიმდინარე ყველა პროეტის და აქტივობების შესახებ ინფორმაცია საჯაროა , გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე და ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის. დაარიგეს ბუკლეტები. თვითმმართველობამ- შეხვედრების , მიმართვის და მშობელთა ჩართულობის შედეგად გააქტიურა ყველა მოსწავლის ჩართულობა სასკოლო აქტივობებში. არაფორმალურ აქტივობებში ყველა მოსწავლის ჩართვა და გააქტიურება დისკრიმანიციის გარეშე. სკოლამ ვიზიტისას წარმოადგინა აღნიშნული აქტივობების დამადასტურებელი მასალები; ფოტო მასალა, გაწერილი გეგმები. უკუკავშირი.

სკოლის პრაქტიკით დასტურდება მოსწავლეთა ინტერესების, სურვილებისა და პრობლემების იდენტიფიცირებისათვის განხორციელებული აქტივობები - დაკვირვება, გამოკითხვა. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, რომლითაც დასტურდება, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობა მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას და აქვს შესაძლებლობა, შექმნას სასკოლო კლუბები, გამოთქვას შესაბამისი ინიციატიცა.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.**

სკოლის პრაქტიკით დასტურდება, რომ სადამრიგებლო პროგრამით გათვალისწინებულია მშობელთა, მოსწავლეთა/ დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის ჩატარება, რომლის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს საკუთარ მომსახურებას.
სკოლის პრაქტიკით დასტურდება, მოსწავლეთა გამოკითხვის მიზნით გეგმაზომიერად განთავსებულია - ,,რჩევების ყუთი",. რომელიც სასწავლო წლის ბოლოს იხსნება. ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ სკოლაში მოქმედებს მშობლებთან შეხვედრის დღე. (ყოველ პარასკევს გაკვეთილების შემდეგ)

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- ტრანსპორტირების სერვისი
- წრეების დებულება
- საგამოცდო კონსულტაციების განრიგი;
- მშობლის განცხადება ექსტერნზე;
- კომისიის შექმნა ექსტერნზე;
- ბრძანება ექსტერნზე
- ფოტო მასალები;
- კონკურსი-აფხაზეთი - პროექტის გეგმა

4.2.2.სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლაში ვიზიტისას ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ 2015 წლიდან დაინერგა პროფორიენტაციის საპილოტე პროგრამა,რომელიც დღესაც მოქმედებს. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილები ტარდება - მე-9 და მე-11 კლასებში. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში დასტურდება, რომ გეგმაში გაწერილია მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფორიენტაციის გეგმაც. აღნიშნული გეგმა თავის მხრივ მოიცავს კარიერული დაგეგმვისა და

პროფორიენტაციის აქტივობებს და ამავდროულად ითვალისწინებს სკოლის კურსდამთავრებულების გამოკითხვას, თუ რამდენად დაეხმარა სკოლის მიერ კარიერული დაგეგმვის ფარგლებში გაწეული მხარდაჭერა სწორი პროფესიული არჩევანის გაკეთებაში. ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ხდება სამოქმედო გეგმის გადახედვა.

სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის წეროვანის N1 საკარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი ითვალისწინებს პროფესიის ორინტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიმართულებით დასაქმების ობიექტებში ვიზიტების ორგანიზებას, სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრის განრიგსა და პროგრამას.

პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიზნით სკოლამ განახორციელა დაგეგმილი აქტივობები: მათ შორის, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დასაქმების ობიექტებში (ბარამბო, პოლიცია) ექსკურსიები (ვიზიტი თსუ-ში, საქართველოს და თავისუფალ უნივერსიტეტში) და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრები. განხორციელდა გაფართოებული შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან. ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა შეხვედრების დამადასტურებელი მასალები. ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ სკოლა სამომავლოდაც გეგმავს აქტიურ თამშრომლობას პროფესიულ სასწავლებლებთან, სხვადასხვა პროფესიის ადამიანების მოწვევას მოსწავლეებთან გასაუბრების მიზნით.

წარმოდგენილი სასწავლო გეგმით სკოლა ამ ეტაპისთვის არ სთავაზობს მოსწავლეებს გაუთვალისწინებელ დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებებს. ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ 2023/2024 სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს ხალხური ცეკვების შემსწავლელი წრის გახსნას და დამატებით საგანმანათლებლო მომსახურეობად შეთავაზებას სკოლის მოსწავლეებისათვის.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის წეროვანის N 1 საჯარო სკოლაში ვიზიტისას დადასტურდა, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანი საკითხია კარიერული დაგეგმვის პროგრამის შემუშავება და აღნიშნულ პროცესში მშობელთა ჩართულობა. სკოლის პრაქტიკით და სადამრიგებლო პროგრამით დასტურდება, რომ სკოლა სააღმზრდელო საათს იყენებს იმისათვის, რომ მოსწავლეებს მიაწოდონ ინფორმაცია კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. სკოლაში გეგმაზომიერად ეწყობა უმაღლესი სასწავლებლების ღია კარის დღეები და იმართება სამუშაო შეხვედრები საზოგადოებრივ კოლეჯთან. სკოლა კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებისას ეყრდნობა კოლეჯისა და უმაღლესი განათლების სანდო ინფორმაციას.

სასწავლო წლის ბოლოს სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის/კანონიერი წარმომადგენლებისათვის ინფორმაციის მიწოდებას საბაზო თუ საშუალო საფეხურის დასრულების შემდგომ როგორ, რა გზით, რა მიმართულებით შეიძლება კარიერული განვითარება. ამისათვის სთავაზობს მათ ინფორმაციას პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მათი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ და აცნობს მათ დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს. ტარდება საინფორმაციო შეხვედრები არაერთი უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლებთან. (X-XI კლასის მოსწავლებთან შედგა შეხვედრა ეროვნული თავდაცვის აკადემიის წარმომადგენლებთან). სკოლამ თავი მოუყარა სხვადასხვა პროფესიებზე ინფორმაციას (ინფორმაცია დაიდო სკოლის სოციალურ ქსელში, დამზადდა ბუკლეტები)

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით სკოლაში განხორციელებული აქტივობები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს. სკოლის პრაქტიკით დასტურდება, რომ სხვადასხვა დაწესებულებებში ვიზიტებს გეგმავს მოსწავლეების სურვილების და ინტერესების გათვალისწინებით. ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ სკოლა გეგმავს სხვადასხვა აქტივობებს მშობლების ჩართულობით, სადაც პროფესიების შერჩევის შესახებ გამართავს საუბრებს და არსებული გამოწვევების შესახებ საკუთარ გამოცდილებას უზიარებს მოსწავლეებს. ინტერვიუთი ასევე დაზუსტდა, რომ სკოლა გეგმავს კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების კვლევას (შესაძლებელია იყოს როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევა.

სკოლამ ინტერვიუს დროს დააზუსტა, რომ გეგმავს კვლევებიდან მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე გადახედოს საკუთარ კარიერული განვითარების მომსახურების პრაქტიკას და მისი გაუმჯობესების მიზნით განახორციელოს შესაბამისი ცვლილებები, რაც შეიძლება გამოიხატოს საშუალო საფეხურზე პროფესიული განათლების ინტეგრირებაში, პროფესიულ თუ უმაღლეს სასწავლებლებთან მემორანდუმების გაფორმებით თანამშრომლობაში. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- დამრიგებლის საათის თემატიკა.
- ფოტომასალა
- პროფ. ორიენტაციის გაკვეთილის გეგმა;
- სადამრიგებლო საათი - პროფესია. გეგმა
- პირისპირ შეხვედრები მშობლებთან, სხვადასხვა უმაღლეს სასწვლებლებთან

4.2.3.სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის წერივანის N 1 საჯარო სკოლამ ვიზიტისას წარმოადგინა სასკოლოო სასწავლო გეგმა, სადაც განსაზღვრული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისებით მიწოდების რეგულაცია. სკოლაში დამტიცებულია ინკლუზიურ განათლებაზე შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი, რომლის ამოცანაა სკოლაში ხარისხიანი ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფა. სკოლამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა. სკოლას ჰყავს ინკლუზიური

განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც ევალება ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი. სკოლაში შექმნილია ისგ ჯგუფი, რომელიც ხელს უწყობს სსსმ მოსწავლეების ხარისხიანი განათლებით უზრუნველყოფასა და ინტეგრაციას სასკოლო-სასწავლო პროცესში. სკოლამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში, თუმცა სკოლას არ წარმოუდგენია სპეციალური მასწავლებლის სამუშაო ანგარიში. სსსმ მოსწავლეთა მართვას სკოლა ანხორციელებს მოქმედი კანონმდებლობებისა და რეგულაციების საფუძველზე. სკოლას აქვს რესურს/ოთახი, თუმცა სკოლას არა აქვს აქვს კეთილმოწყობილი პანდუსი და არა აქვს ადაპტირებული საპირფარეშო. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ სკოლის ადაპტირების საკითხი გაწეროს სტრატეგიულ გეგმაში და განახორციელოს სამოქმედო გეგმის მიხედვით.

სკოლას აქვს შემუშავებული ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომელიც წარმოადგენს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მთავარ მექანიზმს. სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილებიდან ერთ-ერთია ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებულიინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის. სასავლო წლის დაწყებიდან ორი კვირის განმავლობაში დირეტორის მ/შ.ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცა (16/ნ ბრძანების მიხედვით), ინდივიდუალური სასწავლო გეგმა თითოეული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის. გეგმის შედგენისა და განხორციელების პროცესში ჩართული იყო სპეციალური მასწავლებელი, სსსმ მოსწავლის მშობლები, საგნის მასწავლებლები და ითანამშრომლეს სკოლის გუნდთან. სკოლის დირეტორის მ/შ. ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია თითოეული სსსმ მოსწავლისათვის ი ნდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას. სკოლის დირეტორის მ/შ. ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტით ყავს დამტკიცებული შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ახორციელებს ინკლუზიური განათლების მონიტორინგს და წერს დასკვნას.

მონაცემთა დამუშავება შესაძლებელია მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობით.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.**

სსსმ მოსწავლეების მხარდაჭერაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების ყოველი წევრი: საგნის მასწავლებელი, დამრიგებელი, მშობელი, სპეც. მასწავლებელი. სასკოლო საზოგადოება მუდმივ კომუნიკაციაში არიან ერთმანეთთან. სასწავლო წლის დასაწყისში, ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი გუნდი აწყობს შეხვედრას მასწავლებლებთან, სადაც განიხილავს წლის დასაწყისში განსახორციელებელ

სამუშაო გეგმას, ამის შემდეგ ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სადაც მაქსიმალურადაა გათვალისწინებული თითოეული მოსწავლის საჭიროება და შესაძლებლობები. ისგ ჯგუფი შეხვედრებზე განიხილავს მოსწავლის საჭროებებს და ერთობლივად გეგმავს საქმიანობას. სკოლის სპეციალურ მასწავლებლს შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმა და მოსწავლეებთან მუშაობის განრიგი (გაკვეთილების განრიგი). ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ხელმისაწვდომია ისგ. ჯგუფისთვის და მშობლისთვის. ისგ ჯგუფს ჰყავს კოორდინატორი (კლასის დამრიგებელი), რომელიც სპეციალურ მასწავლებელთან ერთად ხვდება მშობლებს და აცნობენ და განიხილავენ სსსმ მოსწავლის მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესს, მის სასწავლო შედეგებს, გამოწვევებს. მშობლებთან აქვთ კომუნიკაცია ისგ ჯგუფს, საგნის მასწავლებლებს და ეს შეხვედრები აისახება ისგ. ჯგუფის ოქმებში. სასკოლო საზოგადოება (განსაკუთრებით მოსწავლეთა თვითმმართველობა) ხელს უწყობს სსსმ მოსწავლეების ჩართულობას სხვადასხვა აქტივობებსა თუ ღონისძიებებში, სსსმ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი თანატოლებთან ერთად სხვადასხვა აქტივობებში და ღონისძიებებში. წლის განმავლობაში დაწყებითის კათედრამ „დედაენის დღესთან დაკავშირებით “, მოაწყო სასკოლო ღონისძიება, სადაც პატარა მონაწილეებმა თანატოლებს გაუზიარეს ამ დღის მნიშნელობაზე ცნობიერების ასამაღლებელი ინფორმაცია. რომელ ღონისძიებაშიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი სსსმ მოსწავლეები, რამაც ხელი შეუწყო მათი პოზიტიური განწყობისა და დამოკიდებულების შექმნას გარშემომყოფების მიმართ. ყველა სახის სასკოლო აქტივობა განაპირობებს სსსმ მოსწავლეების წინსვლასა და განვითარებას, ასევე სსსმ მოსწავლეების
ადაპტირებას სასკოლო საზოგადოებაში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება ინკლუზიურის ჯგუფის შექმნის შესახებ
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში;
- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმი;
- ინკლუზიურის სამოქ. გეგმა;

- ინდ. გეგმის ნიმუში;
- მონიტორინგის ჯგუფის ბრძანება;
- ისგ. ჯგუფის ბრძანება;
- ისგ. ჯგუფის შეხვედრის ოქმი;
- მოსწავლის შეფასება.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი,) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი ხასიათის მომსახურების გაწევა (ტრანსპორტირების სერვისი) ხორციელდება სახელმწიფოს მიერ მომსახურეობის მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით.
3. მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (ტრანსპორტირების სერვისი) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე. ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამას 4 მიმართულებით ემსახურება სასკოლო ტრანსპორტი მოსწავლეებს. დღის პერიოდში სრულდება 7 გზა 4 მიმართულებით. ჯამში 145 მოსწავლე სარგებლობს სასკოლო ტრანსპორტით. სკოლაში არის კვების ბლოკი -ბუფეტი, რომელიც ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებს. სკოლაში ვიზიტისას ინტერვიუთი დადასტურდა, რომ 2023/2024 სასწავლო წელს სკოლა გეგმავს კვების ბლოკის ამოქმედებას კანონმდებლობით განსაზღვრული წესების სრული დაცვით.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურეობებს: წრეები - გრამატიკოსების წრე. მოსწავლეები კლუბებსა და წრეებში მოსწავლეები ინტერესისა და სურვილის მიხედვით რეგისტრირდებიან. სკოლამ წარმოადგინა კლუბის წესდება და სარეგისტრაციო ფორმა. ვიზიტისას ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ 2023-2024 სასწავლო წელს გეგმავს კვების ბლოკის -ბუფეტის ამოქმედებას და ასევე ხალხური ცეკვის წრის გახსნას , კანონმდებლობის შესაბამისად (სამეურვეო საბჭოს თანხმობა ფართის იჯარით გაცემაზე, აუქციონზე გატანა)

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის წეროვანის N 1 საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს ტრანსპორტით მომსახურება, რომელიც ხორციელდება სკოლაში არსებული უსაფრთხოების ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს. სკოლამ ვიზიტისას წარმოადგინა ტრანსპორტირების ტაბელი, თუმცა ვერ წარმოადგინა სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ აღნიშნული დოკუმენტი ინახება სახელმწიფო სამსახურში, რომელიც უშუალოდ არის დამქირავებელი ორგანიზაცია. სკოლას ვიზიტის დროს მიეცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნული სამსახურიდან გამოითხოვოს სატრანსპორტო საშუალების ექსლუატაციის უსაფრთოხების დამადასტურებელი დოკუმენტი.
სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის წეროვანის N 1 საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა კლუბები, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ტრანსპორტირების ტაბელი
- მოსწავლეთა კლუბებში გაწევრიანების სარეგისტრაციო ფორმა
- ტრანსპორტზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება;

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არ იძებნებოდა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. თუმცა ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტის სამუშაო ვერსია. სკოლაში ვიზიტისას ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ კურიკულუმის სამუშაო ვერსიის შექმნაში ჩართული იყო სკოლის ადმინისტრაცია, საგნობრივი კათედრები. წარმოდგენილი დოკუმენტის სამუშაო ვერსიაში გათვალისწინებულია სკოლის, მასწავლებლებისა და მოსწავლეების ინტერესები. სკოლაში ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ 2023 - 2024 სასწავლო წლის დაწყებისას სკოლა გეგმავს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის რევიზიას. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შექმნას დოკუმენტზე სამუშაო ჯგუფი და გაითვალისწინოს კათედრის, მშობლის, მასწავლებლის, მოსწავლეების ინტერესებს, მათი შეხედულებები.

წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმის დაგეგმვისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესი, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. აღნიშნულის მტკიცებულებად შეგვიძლია წარმოვადგინოთ სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიის შემუშავების დოკუმენტი. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას სკოლა ხელმძღვანელობს ეროვნული სასწავლო გეგმით და მის მიერ განსაზღვრული საგნობრივი სტანდარტებით. **შესაბამისობაშია სტანდარტთან**

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით სკოლა გეგმავს, ასახოს კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. პედაგოგებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება, მათ ჩართულობა კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების ნაწილში, რომელიც მიმდინარეობს

მუსიკისა/ ხელოვნების პედაგოგებისა და დირექციის აქტიური მონაწილეობით. სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია იქნება მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები და ასაკობრივი თავისებურებები. ჩატარებული ღონისძიებები მიუთითებს კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას და მათ ჩართულობას. კურიკულუმებში წარმოდგენილი შერჩეული თემებიდან იკვეთება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება, მასწავლებლებთან ინტერვიუში გამოიკვეთა კათედრის მუშაობა კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაყრდნობით, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ნიმუშები ცხადყოფს მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებას, მასწავლებლები საუბრობენ მშობლებთან მჭიდრო კომუნიკაციასა და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებაზე. ,,კურიკულუმის შემუშავებისას ვითვალისწინებთ სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებს. მიმდინარე სასწავლო წელს მასწავლებლებმა მოსწავლეებს და მშობლებს შეხვედრებზე გავაცანით კომპლექსური დავალების ბარათები, მივიღეთ მათგან უკუკავშირი“ - აცხადებენ მასწავლებლები ინტერვიუში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა აერთიანებს საგნობრივ კურიკულუმებს. აღნიშნული დოკუმენტი არის საჯარო, რომელიც შემუშავებული წესის მიხედვით შესათანხმებლად წარედგინება სამეურვეო საბჭოს და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურუკულუმის მეთოდოლოგიის სამუშაო ვერსიაში ჩანს დირექციის, საგნობრივი კათედრებისა და პედაგოგების როლი და ფუნქციები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, სწავლა-სწავლების პროცესში პედაგოგი კომპლექსური დავალების ეტაპების, შეფასების შესახებ ინფორმაციას უზიარებს მშობლებს, არის აქტიურ კომუნიკაციაში და ინდივიდუალურად მოიძიებს ახალ მიდგომებს, რათა სასწავლო პროცესში უფრო ეფექტურად ჩართოს მოსწავლე. ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია მეორე უცხო ენა. არჩევითი საგნებისა და წრეების შერჩევაში კი აქტურად არიან ჩართულნი მოსწავლეები. მოცემულ დოკუმენტებზე დაყრდნობით შესაძლებელია დავასკვნათო, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცსში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. დაწყებით საფეხურზე ქართული ენის კურიკულუმები იქმნება კათედრის წევრების აქტიური თანამშრომლობითა და ჩართულობით. ამის შესახებ მასწავლებლები თავად საუბრობენ ინტერვიუს პროცესში, აგრეთვე, თითოეული მასწავლებლის როლი კურიკულუმების შემუშავებისას გაწერილია კათედრის სხდომების ოქმებში, პასუხისმგებელი პირები მინიშნებულია კათედრის სამოქმედო გეგმაშიც. ინტერვიუდან იკვეთება კურიკულუმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობაც. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

3. დაწყებითი საფეხურის მე და საზოგადოების და ჩვენი საქართველოს კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით, პედაგოგთა ურთიერთანამშრომლობის საფუძველზე. კურიკულუმის შედგენის პროცესში სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით ჩართულია, როგორც მასწავლებელი, ასევე მშობელი და მოსწავლე. ამასთან ერთად ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგემა სასკოლო პროცესზე დაკვირვების შედეგად გამოკვეთეს მოსწავლეების მზაობა, ინტერესი და შესაძლებლობები, რასაც დაეყრდნო მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმით გათვლიწინებული შუალედური მიზნები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

- კომპიუტერული ტექნოლოგიები

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით. სამინისტროს მიერ მოწოდებული ჩარჩოს მიხედვით მოხდა მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმების შედგენა. მიზნის მისაღწევად დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, როგორც შუალედური მიზნები, მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

- სპორტი

3. კურიკულუმის შექმნისა და განხორციელების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, კათედრაზე ერთობლივი მუშაობით მოხდა კურიკულუმები თემების შერჩევა, სადაც კურკულუმის ჩარჩოს ცალკეულ სვეტებში ასახულია კურიკულუმის შემუშავების შესაბამისი მასალა. მასში განსაზღვრული მიმართულებებით, თემებით, ცნებებით და

კომპლექსური დავალებებით. გამომდინარე აქედან, შეიძლება თამამად ითქვას, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

სკოლაში ვიზიტის დროს პედაგოგებთან ინტერვიუების დროს დაზუსტდა - სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლურია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, რაც ასახულია წარმოდგენილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში - სამუშაო ვერსია. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შემუშავებულ კურიკულუმებს უგზავნიან დირექციას, აცნობენ მშობლებს საინფორმაციო შეხვედრაზე. მიღებულ უკუკავშირს ითვალისწინებენ საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის შემდგომი დაგეგმვისას. სასურველია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დაკონკრეტდეს სასკოლო საზოგადოებასთან(განსაკუთრებით მსობლებთან და მოსწავლეებთან) კომუნიკაციის არხები. სკოლაში ვიზიტის დროს ინტერვიუს პროცესში გამოვლინდა, რომ პედაგოგები სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში ურთიერთანამშრომლობენ სხვდასხვა საგნობრივი ჯგუფის პედაგოგებთან, ასევე ადმინისტრაციასთან. ინტერვიუს მიმდინარეობისას ასევე გამოიკვეთა, რომ კურიკულუმები დასრულებულ სახეს მიიღებს ახალი სასწავლო წლის დასაწყისში, რომელსაც შემდგომში კათედრების მიხედვით წარადგენენ პედაგოგიურ საბჭოზე. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმს გააცნობენ მშობლებს წლის დასაწყისში ე.წ მშობლის ბარათების საშუალებით, ასევე გაზიარედება მოსწავლეებთან, თუ წლის განმავლობაში რა საკითხებზე და კომპლექსურ დავალებებზე მოუწევთ მათ მუშაობა. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კათედრების კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც აღწერს მასწავლებლის მოლოდინებს ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით, პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2023/2024 კურიკულუმების ჩარჩოები

- 2022-2023 სასწავლო წელს შესრულებული კომპლექსური დავალებები
- კათედრის ოქმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია (სამუშაო ვერსია)

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

დაწყებით საფეხურზე სკოლას წარმოდგენილი აქვს ყველა კლასისთვის შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოები. I-IV კლასების კურიკულუმებში ორი ან სამი თემის ფარგლებში მოცემულია კომპლექსური ბუნების დავალებები, კონტექსტ მაგალითები, რესურსები. კურიკულუმებში გათვალისწინებული არ არის ყველა სავალდებულო თემა, თუმცა მათი შევსება და ყველა თემაზე კომპლექსური ბუნების დავალებების შექმნა იგეგმება მომავალი სასწავლო წლისთვის. რაც შეეხება V-VI კლასების კურიკულუმებს, თითქმის სრულად არის შევსებული. სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის პროექტში ვკითხულობთ: ,, კათედრაზე მწირია შესრულებული კომპლექსური დავალებების ნიმუშები და კურიკულუმთა გადამუშავებული ვერსიები, უმეტესი მათგანი კონკრეტულმა მასწავლებლებმა საკუთარი გამოცდილების და მოსწავლეთა შედეგების ანალიზის საფუძველზე შექმნეს. სამომავლოდ ამ კუთხით ვიმუშავებთ აქტიურად.“ მასწავლებლებთან ინტერვიუშიც იკვეთება კურიკულუმებზე მუშაობის პროცესი, რათა შემუშავებული კურიკულუმები გახადონ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. არსებული კომპლექსური დავალებებითა და კომპლექსური დავალების ბარათებით ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, გლობალურ- ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება) განვითარებაზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში იკითხება, რომ მომდევნო სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია იმ თემების გათვალისწინებით, რომლებიც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის, ეს დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირბულ/ინკლუზიურ მიდგომებს. კურიკულუმში შეთავაზებული კომპლექსური დავალებები, როგორც კათედრის წარმომადგენლებმა აღნიშნეს გასაუბრებისას, მოსწავლეებს სთავაზობენ დიფერენცირებული სწავლების მეთოდს „სასწავლო მენიუს“. კოპლელექსურ დავალებებში ჩანს, თუ როგორ უნდა იმუშაოს სხვადასხვა ტიპური განვითარების მოსწავლემ. მაგ მე-4

კლასში თემატურ მატრიცაში წარმოდგენილია სხვადასხვა დონეზე დაძლევადი კითხვები ასევე პროდუქტის შექმნის დროს სხვადასხვა ფორმით წარმოდგენის საშუალება. დასკვნის სახით, შეიძლება ვთქვათ, რომ გასაუბრებიდან და მოცემული მასალებიდან გამომდინარე, მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში გამოიყენონ დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ სკოლა აქტიურად იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, როგორც საგაკვეთილო თემის შესაბამისად, ასევე მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. მომავალი სასწავლო წლიდან განმავითარებელი შეფასება მოხდება კომპლექსური დავალებების შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით. ამჟამად სკოლა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს. როგორც იკვეთება, სასკოლო საზოგადოებასთან იმართება საინფორმაციო შეხვედრები განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელთან დაკავშირებით, შევსებული რესურსი 12 ცხადყოფს, რომ სკოლა ახალ სასწავლო წელს განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელზე გადავა, ამას ადასტურებენ მასწავლებლები ინტერვიუს დროს. ამჯერად კათედრას აქვს შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების დროს გათვალისწინებული იქნა კათედრაზე არსებული გამოცდილება. მათემატიკის კათედრის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აკეთებენ თვითრეფლექსიას, გასცემენ და იღებენ კონსტრუქციულ უკუკავშირს. მიღებული ინფორმაციის და შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება კურიკულუმის გადამუშავება, დახვეწა და განვითარება. სკოლის 2022-23 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის თანახმად,

დაიგეგმა კათედრებზე სასწავლო პროცესის მონიტორინგი და მოსწავლეთა მიღწევის დინამიკის შედეგად თანმდევი დამატებითი სამუშაოების განხორციელება, თუმცა გაწეული სამუშაოს მტკიცებულებები კათედრას წარმოდგენილი არ აქვს. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, სასწავლო წლის განმავლობაში მასწავლებლებმა უნდა წარმოადგიონ განხორციელებული თემატურ მატრიცები და კათედრაზე შეთანხმდნენ, რა გაითვალისწინონ მომდევნო სასწავლო წლისთვის, წლის ბოლოს კი დაამტკიცონ გადამუშავებული კურიკულუმი ახალი სასწავლო წლისათვის;

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;
- მოსწავლის შეფასების ფორმა დაწყებით საფეხურზე;
- ისგ-ბი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კომპლექსური დავალების მატრიცა;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სასწავლო პროექტები.
- სასკოლო პროექტებისა და სხვადასხვა შიდასასკოლო აქტივობის ამსახველი მასალა.

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას**

წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, მათში შერჩეული თემები, საკითხთა კლასტერი, კონტექსტ მაგალითები, ცნებათა იერარქია, იქვე კომპლექსური დავალების განსახორციელებელი ნაბიჯები ასახავს ცოდნის კონსტრუირების შესაძლებლობას. აღნიშნული პროცესების დასტურად ინტერვიუში მასწავლებელთა მიერ დასახელებული მაგალითებიცაა. ამ კუთხით მომავალ სასწავლო წელს კიდევ უფრო მეტი აქტივობები იგეგმება, 2023-24 სასწავლო წლისთვის შექმნილი და დანერგილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის კონსტრუირების საშუალებას მისცემს. საგნობრივი კურიკულუმი აგებულია სტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო თემატურ ბლოკებზე დაყრდნობით. თემა , როგორც ნაცნობი კონტექსტი, ეხმარება მოსწავლეს ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, კომპლექსური დავალების შესრულების ეტაპები მიმართულია მოსწავლეებში შინაგან მოტივაციის გააქტიურებისკენ და ხელს უწყობს აქტიურ სწავლას. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს რომ თემების დამუშავებისას ისინი ეყრდნობიან მოსწავლეების წინარე ცოდნას, რისთვისაც იყენებენ შესაბამის ინსტრუმენტებს(შესასვლელი ბილეთები). კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი ავალდებულებს მასწავლებელს შეისწავლოს თითოეული მოსწავლის პროგრესი და მიგნებები გაუზიაროს კოლეგებს კათედრაზე, ასევე გამოიყენოს სასწავლო პროცესში შესაბამისი ცვლილებების შესატანად.

ინდიკატორის სტანდარტთან შესაბამისობა.

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით**

ცოდნის კონსტრუირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი სასწავლო თემების მოსწავლისთვის ნაცნობ, შინაარსიან კონტექსტებთან დაკავშირებაა, რაც მას წინარე ცოდნის საფუძველზე ახლის აგებაში ეხმარება. წარმოდგენილ კურიკულუმში ეს პრინციპი დაცულია იმ თვალსაზრისით, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა შინაგანი მზაობა და ინტერესები. ტექსტებიც შერჩეულია ისე, რომ დაწყებითი კლასის მოსწავლემ შეძლოს წაკითხულის პირად გამოცდილებაში გადატანა. მასწავლებლები გეგმავენ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმონ კომპლექსური ტიპის დავალებებით, რაც ცოდნის კონსტრუირების ეფექტიანი საშუალებაა. საგნობრივი კურიკულუმი აგებულია სტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო თემატურ ბლოკებზე დაყრდნობით. თემა , როგორც ნაცნობი კონტექსტი, ეხმარება მოსწავლეს ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, კომპლექსური დავალების შესრულების ეტაპები მიმართულია მოსწავლეებში შინაგან მოტივაციის გააქტიურებისკენ და ხელს უწყობს აქტიურ სწავლას. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს რომ თემების დამუშავებისას ისინი ეყრდნობიან მოსწავლეების წინარე ცოდნას, რისთვისაც იყენებენ შესაბამის ინსტრუმენტებს(შესასვლელი ბილეთები). კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი ავალდებულებს მასწავლებელს შეისწავლოს თითოეული მოსწავლის პროგრესი და მიგნებები გაუზიაროს კოლეგებს კათედრაზე, ასევე გამოიყენოს სასწავლო პროცესში შესაბამისი ცვლილებების შესატანად.

დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

1-6 კლასების კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეა რამდენიმე თემისათვის თითოეულ კლასში. კომპლექსურ დავალებებში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება, დამოუკიდებელი მუშაობა, თვითრეფლექსია. ასეტი ტიპის დავალების წარმატებით შესრულება მოითხოვს სწავლის პროცესზე აქცენტირებას მოსწავლის მხრიდან, შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეს, გაიაზროს საკუთარი სწავლის პროცესი , დაფიქრდეს რა ხერხები და სტრატეგიები გამოიყენა დავალებების

შესასრულებლად. როგორც ინტერვიუდან ირკვევა, მასწავლებლები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ მეტაკოგნიციას. სხვადასხვა სქემებისა და მაორგანიზებლების გამოყენება ეხმარება მოსწავლეებს დააკვირდნენ საკუთარი სწავლის პროცესს და გააანალიზონ, რა ფაქტორები ახდენს მათზე გავლენას. კრიტიკულ აზროვნებაზე გათვლილი კითხვები: „რა იყო შენთვის ყველაზე მეტად საინტერესო, რომელსაც აუცილებლად გამოიყენებ პრაქტიკაში? რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? - საშუალებას აძლევს მოსწავლეებს დაფიქრდნენ და გაიაზრონ, რა ეხმარებათ სწავლაში. ეს ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)

გასაუბრების დროს კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ მიმდინარე სასწავლო წელს განახორციელეს რამდენიმე კომპლექსური დავალება, რაც თავისთავად გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიის დაუფლებისთვის მუშაობას. სექტემბრამდე კურიკულუმის ჩარჩო შეივსება სწორედ ამ ტიპის დავალებებით. სხვა შემთხვევაშიც, თემის შესწავლისას, სრულდება აქტივობები და ისმება ისეთი შეკითხვები, რომლებიც ხელს უწყობს როგორც ფაქტობრივი, ისე პირობისეული ცოდნის შეძენა-აღმოჩენას. შენიშნეს ისიც, რომ ლიტერატურული ტექსტის დამუშავება სხვაგვარად წარმოუდგენელია. ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. კათედრის მიერ დაგეგმილი კომპლექსური დავალებები არის პროექტული ტიპის, ხელს უწყობს შესასწავლი საკითხის სიღრმისეულ გააზრებას. 1-6 კლასების კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების წარმატებით შესასრულებლად მოსწავლეებს მოუწევთ ფაქტობრივი მასალის ათვისება, შესწავლილი მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირება, განზოგადება, პრობლემის გადასაჭრელად შეძენილი ცოდნის კონკრეტულ პირობებში გამოყენება. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას შემოქმედებითობა სჭირდება, დამოუკიდებელი მსწავლელის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას აქცენტი კეთდება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. მოსწავლეები არა მხოლოდ იძენენ დეკლარატიულ ცოდნას, არამედ პროცედურულ და პირობისეულ ცოდნასაც.

შეიძლება ითქვას რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში დაწყებითი საფეხურზე შესაძლებელია ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზება.

ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

მასწავლებელბთან ჩატარებული ინტერვიუებისა და მათ მიერ გაზიარებული დოკუმენტების გაცნობის შემდეგ გამოვლინდა, რომ სასწავლო პროცესი იმდგვარად არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეებს შეუძლია ორიენტირება სხვდასხვა საგნობრივ საკითხებზე და მათ შორის საერთო და განსხვავებული მახსიათებლების გამოკვეთაზე. საგნობრივი კათედრების მიერ შედგენილ კურიკულუმში გათვალისწინებულია თემები ისე, რომ გამარტივდეს საგანთა შორის ინტეგრაცია. ასევე, შერჩეულ გრიფირებულ სახელმძღვანელოებში მოცემულ თემატურ ერთეულებში გათვალისწინებულია ინტეგრირებული თემები. კერძოდ: გარემო, ტექნოლოგიები, ხელოვნება და სხვა. დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს ასეევე უხდება საკუთარი მოსაზრების დასაბუთება, სხვისი მოსაზრების გათვალისწინება, გამოსავლის ძიება, რაც მას ცოდნის ორგანიზების გამოცდილებას სძენს. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამგვარად დაგეგმილ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. მაგალითებიდან ასევე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირება, იმდენად რამდენადაც მოსწავლეებს უწევთ სხვდასხვა საგნის ფარგლებში ნასწავლი მასალის გამოყენება უცხოური ენების კომპლექსური დავალებების შესასრულებლად.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- დაწყებითი საფეხურის კომპლექსური დავალებების სრული ნიმუშები (ინსტრუქციით)
- სასკოლო სასწავლო გეგმა

- სასწავლო პროექტი ,,არა ბარბარიზმებს “
- · კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია; (სამუშაო ვერსია)

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით**

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. ეს გაწერილია სკოლის სასწავლო გეგმაში. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენის გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. კურიკულუმებში სამიზნე ცნება არის მთავარი ორიენტირი, რომელსაც მიემართება სწავლა-სწავლების პროცესი. კომპლექსურ დავალებები ორიენტირებულია ცნებებისა და ქვეცნებების დამუშავებაზე. ყველა თემაში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, მკვიდრი წარმოდგენები და საკვანძო კითხვები სტანდარტის შესაბამისად დაიგეგმება თემატურ მატრიცებში. საუბრისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს აქვთ სწორი წარმოდგენები საგნობრივ დაგეგმვასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია კომპლექსური დავალებების განხორციელების შემდეგ განხორციელდეს რეფლექსია ჩატარებულ სამუშაოზე, რომელშიც გამოიკვეთება რამდენად იყო მიმართული საგაკვეთილო აქტივობები გრძელვადიანი მიზნების შესრულებისკენ. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში და კათედრის გადაწყვეტილებაში კათედრას დეკლარირებული აქვს, რომ მომდევნო სასწავლო წელს მოსწავლეების მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება და მასწავლებლების პედაგოგიკური საჭიროებების დადგენა მოხდება განხორციელებული თემატური მატრიცის საფუძველზე. იკვეთება

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში შუალედური (საკითხები, თემები, კომპლექსური დავალების პირობა) და გრძელვადიანი (ცნებები, შედეგები) მიზნებიდან, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმით შერჩეული კომპლექსურების სრული ნიმუშიდან (ინსტრუქციით) და განხორციელების ეტაპების დამატებითი აქტივობების რესურსებიდან გამომდინარე, შემიძლია დავასკვნა, რომ მომავალ სასწავლო წელს საგნობრივი კონტექსტები მოემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კურიკულუმის ჩარჩოებში დამუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტში მოცემული სავალდებულო თემებით. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, თემატური ერთეულები, დავალების შესრულებისას გადასაჭრელი პრობლემები, განსახორციელებელი აქტივობები, კონკრეტული საგნობრივი საკითხები, კონტექსტმაგალითები, მორგებულია მოსწავლეთა კონკრეტული ასაკისათვის დამახასიათებელ ფსიქო-სოციალური განვითარების დონეს. გასაუბრებისას

პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სწავლებისას პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. დავალებებს არჩევენ ისე, რომ მისი შესრულება საინტერესო და ამავდროულად დაძლევადი იყოს მოსწავლეებისათვის. კურიკულუმებიდან იკვეთება, ასევე გასაუბრებიდან გამოჩნდა, რომ საგნობრივი კონტექსტების ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

დაწყებით საფეხურზე შექმნილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც სწავლა-სწავლების აუცილებელი კომპონენტია. მისი მთავარი ფუნქცია ობიექტურობის დაცვაა, რაც ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა არის სანდო და ვალიდური. ახალი სასწავლო წლისთვის კომპლექსური ბუნების დავალებების გაწერისას, სასურველია, კათედრამ შეიმუშაოს სათანადო განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც ყველა დაგეგმილ კომპლექსურ დავალებაზე არის მორგებული. შეფასების გამჭირვალეობას, ობიექტურობას და სამართლიანობაზე დაკვირვების საშუალება მიეცემა სასკოლო საზოგადოებისთვის მისი გაცნობის შემდეგ. შეფასების რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიანი მიზნს, შესაბამისად შეფასება არის ვალიდური, სანდო.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

დაწყებით საფეხურზე, შექმნილია განმავითარებელი შეფასების სისტემა, რომელიც სწავლა-სწავლების აუცილებელი კომპონენტია. მისი მთავარი ფუნქცია ობიექტურობის დაცვაა, რაც ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა არის სანდო და ვალიდური. სადიაგნოსტიკო შეფასებები, მრავალფეროვანი განმავითარებელი შეფასების ფორმები ხელს უწყობს შეფასების სისტემის დახვეწას, მის ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას . სკოლის სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით დაგეგმილია შეფასების მხრივ დოკუმენტაციის დახვეწა და სრულყოფა.

დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლის დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, პედაგოგს აქვთ შეფასების ინსტრუმენტების გაანალიზების/ შეცვლის გამოცდილება. პედაგოგებთან ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ სწავლების პროცესში ითვალისწინებენ მიცემული დავალებების, შემაჯამებელი წერების/ტესტების, შეფასების რუბრიკების შესაბამისობას მიცემული დავალების მიზნებსა და მისაღწევ შედეგებთან. ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ პედაგოგები ითვალისწინებენ შეფასების ვალიდობას, სანდოობას, ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. სკოლამ მტკიცებულებებად წარმოადგინა კათედრების ოქმები და შეფასების რუბრიკები. მოცემულ ეტაპზე კათედრის წარმომადგენლებმა გულწრფელად აღნიშნეს, რომ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ იმასთან დაკავშირებით, რა სახის უნდა იყოს ვერიფიკაციის დოკუმენტი, თუმცა მათ მიერ წარმოდგენილ შეფასების ინსტრუმენტები და ზეპირი რეფლექსია მეტყველებს იმაზე, რომ კათედრას შეუძლია შემუშავებული კრიტერიუმის ეფექტიანობის შემოწმება. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლის საქმისწარმოების წესის (მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოების წესი) ითვალისწინებს მოსწავლეების შეფასების ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაციის შენახვას სკოლაში 3 წლის ვადით.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები;
- საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- ქართული ენისა და ლიტარატურის მეთოდოლოგიური ჩარჩო;
- პროექტები.·

- მიმდინარე და მომავალი წლის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- მოსწავლის ნამუშევრის ანალიზი
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი

შეფასება:

☐ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო

როგორც სკოლის სასწავლო გეგმაშია აღნიშნული , მოსწავლემ განათლება უნდა მიიღოს უსაფრთხო, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში, ასევე იმავე დოკუმენტშია აღნიშნული, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას, ასევე როგორც სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაშია აღნიშნული , სკოლისთვის პრიორიტეტულია უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა და დასახუალია ამის მისაღწევად კონკრეტულად განსახორციელებელი აქტივობები, აქედან გამომდინარე ვფიქრობ რომ მომავალ წელს სასწავლო პროცესში შექმნილი იქნება მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. კათედრის წევრებს შორის

თანამშრომლობითი. სკოლაში შექმნილია მხარდაჭერი და მიმღებლობითი გარემო,რაც დასტურდება კურიკულუმში პრობლემაზე ორიენტირებული საგნობრივი დავალებებით.

დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის მიზნით სკოლის ხარისხის შიდა მონიტორინგის ჯგუფი შეისწავლის შემაჯამებელი/კომპლექსური დავალებების ანალიზებს და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს. სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით რეკომენდაციებს შეიმუშავებს კათედრა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სკოლაში ვიზიტისას ინტერვიუებით დაზუსტდა, რომ სასწავლო პროცესში პედაგოგები ესწრებიან გაკვეთილებს, სკოლაში მოქმედებს ,,კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი", რომლის საშუალებითაც კოლეგები ერთმანეთს გამოცდილებებს უზიარებენსაგნობრივ კათედრებზე გეგმაზომიერად ხდება შემაჯამებელი დავალებების ანალიზები, დირექციის წარმომადგენლები აკვირდებიან სასწავლო პროცესს და მოსწავლეთა შედეგების დინამიკას სემესტრულად. დაკვირვების/მონიტორინგის შედეგად მიღებული შედეგების გამოყენება ხდება მოსწავლეთა მხარდასაჭერად. მასწავლებლების შემთხვევაში ეს გამოიხატება გამოცდილების გაზიარებაში, სასწავლო ჯგუფებში მუშაობაში და ტრენინგებსა და ვებინარებში მონაწილეობაში (გამოვლენილი საჭიროებიდან გამომდინარე), მოსწავლეების შემთხვევაში ეს არის მოდიფიცირებული სასწავლო პროგრამები და დიფერენცირებული სწავლების პრაქტიკა. სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებულნი არიან მოსწავლის პიროვნულ და ემოციურ განვითარებაზე, სოციალური უნარების გამომუშავებაზე, საგნობრივი საკითხების საფუძვლიან ანალიზზე; კურიკულუმის დაგეგმვისას შერჩეული თემები, საკითხები, ტექსტები შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებსა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას, წახალისებულია შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობითი კულტურა.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

წარმოდგენილ კურიკულუმებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საკლასო ოთახებში სწავლა სწავლების პროცესში შექმნილია პოზიტიკური კლიმატი, რაც ასევე დადასტურდა ჩატარებული ინტერვიუების შედეგადაც.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია - სამუშაო ვერსია;
- კათედრების პორტფოლიოები.
- ურთიერთდასწრების დოკუმენტი;
- კათედრის ოქმები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სკოლაში მოქმედებს კურიკულუმების განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის სამუშაო ვერსია, რომელშიც გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგის პრინციპები, განსაზღვრულია მონიტორინგის პროცეში ჩართული მხარეები(სასკოლო საზოგადოება) და განსაზღვრულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობის შესწავლის მექანიზმები(სასწავლო პროცესზე დაკვირვება, მონაცემების შესწავლა, გამოკითხვა, კვლევა). ვინაიდან პირველადი ავტორიზაციაა სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს მონიტორინგისა და შეფასებისთვის კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კათედრის სხდომის ოქმები;
- წლიური სამოქმედო გეგმა.
- შეფასების რუბრიკები
- საგნობრივი კურიკულუმები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლა შეფასებისას იყენებს საგნობრივი სტანდარტის ფარგლებში შემუშავებული შეფასების რუბრიკებს, ასევე კომპლექსური დავალებების შესაბამისად შექმნილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც ეყრდნობა სამიზნე ცნებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გააქტიურებას, ასევე თემის ფარგლებში მისაღწევ შედეგებს. ამავდროულად, ის გეგმავს და ატარებს დიაგნოსტიკურ ტესტირებებს, რაც შესაძლებლობას აძლევს ერთმანეთს შეადაროს და ჰოლისტური სახით წარმოადგინოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით მიღებული შედეგები. ჩანს, რომ სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს, როლებიც მიმართულია სხვადასხვა ტიპის შემსწავლელთა გამოვლენისა და მათ საჭიროებებზე მორგებული დავალებების შექმნისაკენ. განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუშები ცხადყოფს, რომ მასწავლებლები ცდილობენ მის დაგეგმვას იმგვარად, რომ მონაცემების შეგროვება მოხდეს მრავალფეროვანი მეთოდებით, სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც შეამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და შესაძლებლობას მისცემს მათ სრული სურათის წარმოსადგენად. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, თუმცა იგი არ აძლევს შესაძლებლობას მასწავლებლებს სრულად გაითვალისწინოს და გამოკვეთოს მოსწავლის მრავალმხრივი შესაძლებლობა და ინტერესი. გასაუბრების დროს გაირკვა, რომ მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას დახვეწონ და განავითარონ შეფასების რუბრიკები. შეფასების მრავალი კონტექსტის გათვალისწინების თაობაზე გაწერილია სკოლის თვითშეფასების დოკუმენტშიც.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

შესწავლილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მასწავლებლები საჭირო დროს მიმართავენ დიაგნოსტიკურ შეფასებას. სკოლას აქვს ჩარჩო, თუ როგორ განაზოგადოს დიაგნოსტიკური კვლევის პროცესში მიღებული შედეგები. ასევე, ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ, რომ პედაგოგიური კვლევის პროცესში იყენებენ ინტერვიუს, ფოკუს-ჯგუფებს, ტესტირებას, ანკეტირებას და სხვ. იცნობენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, სხვადასხვა დროს მიმართავენ დისკუსიებს, პროექტულ სწავლებას, რაც საშუალებას აძლევს მათ შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა მეთოდით მოიპოვონ.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

1. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა და მასწავლებელთა ინტერვიუებიდანაც დასტურდება, რომ მასწავლებლები სწავლების თითქმის ყველა საფეხურზე იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემებიდან, სკოლა აცნობიერებს და გეგმავს, რომ კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების დოკუმენტში, რომლის შექმნაზეც სკოლა ახლა მუშაობს და რომლის კონტურებიც გამოკვეთილია დოკუმენტში ,,სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის პროექტი“, ნათლად გაწეროს ყველა იმ ფაქტორის ზემოქმედება, რაც მომავალში გავლენას მოახდენს მოსწავლეთა შეფასების სრული სურათის შექმნაზე.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების;
- შეფასების რუბრიკები;
- საგნობრივი კურიკულუმი;
- შემაჯამელი დავალებების ანალიზი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის მიზნით სკოლის ხარისხის შიდა მონიტორინგის ჯგუფი შეისწავლის შემაჯამებელი/კომპლექსური დავალებების ანალიზებს და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს. სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით რეკომენდაციებს შეიმუშავებს კათედრა.კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმის განახლება ხდება წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; კურიკულუმის რევიზიისას გათვალისწინებული იქნება წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზი, თუ რამდენად მიმდინარეობს დაგეგმილის შესაბამისად პროცესები და რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. განსაახლებლად.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს .

3. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ კათედრის მიერ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სასკოლო საზოგადოების წევრთა მიერ საჭიროების დადგენა კურიკულუმის განვითარებისა და ცლილებების წინაპირობაა.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს .

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- .კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას., წამოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ახალი სასწავლო წლიდან განისაზღვრება თითოეული კლასის გასული სასწავლო წლის აკადემიური მიღწევების დონე, განიხილება სახელმწიფო ენის სტანდარტები კლასების მიხედვით, საგნობრივი პროგრამის მიხედვით, მოსწავლეთა ინტერესებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე განისაზღვრება თემები და კომპლექსური დავალებების რაოდენობა, შემუშავდება კურიკულუმის ჩარჩო, სადაც საგნის მასწავლებლები ითვალისწინებენ პროდუქტს, რა უნდა შექმნან მოსწავლეებმა, სამიზნე ცნებებს, საკითხებს, ქვესაკითხებს, მკვიდრ წარმოდგენებს, საკვანძო შეკითხვებს, გრძელვადიან და შუალედურ მიზნებსა და შესაბამის აქტივობებს, აქვე გათვლილია ასევე რესურსები. მოსწავლეები ეცნობიან კურიკულუმიდან მასწავლებლის მიერ შემუშავებულ კომპლექსური დავალების ბარათებს და მუშაობენ საბოლოო პროდუქტის შექმნაზე. მეთოდოლოგიაში ასევე გათვალისწინებულია საბაზო საფეხურის სსსმ მოსწავლეებისათვის ინტერესებისა და შესაძლებლობების ადაპტირებული კურიკულუმის შემუშავება. ინტერვიუს დროს კურიკულუმების შექმნის მეთოდოლოგიაზე მხოლოდ ცალკეული მასწავლებლები საუბრობენ, თუმცა დარჩენილი წევრები გამოხატავენ მზაობას, ახალი სასწავლო წლისთვის თავადაც გაიაზრონ და სრულყოფილად შეავსონ ორი-სამი თემის ფარგლებში წარმოდგენილი სახელმწიფო ენის კურიკულუმები. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

4. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლის მიერ შექმნილი დოკუმენტის - (სამუშაო ვერსიის) „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ იზიარებს სკოლაში შექმნილი სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციებს. ინტერვიუს დროს დაზუსტდა, რომ კურიკულუმი ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. მისი შექმნის პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციის შედეგად მიღებული უკუკავშირი. პედაგოგებთან და სკოლის ადმინისტრაციულ ერთეულთან ინტერვიუს დროს დაზუსტდა, რომ სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშვებული სარეკომენდაციო პაკეტი გათვალისწინებული იქნება ყოველი ახალი სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების პროცესში. სკოლის პრაქტიკის მიხედვით სასწავლო წლის ბოლოს ტარდება მშობელთა კრებები, აქტიური კომუნიკაცია მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრებთან თუ რამდენად კმაყოფილი არიან კურიკულუმებში ასახული კომპლექსურ დავალებებზე მუშაობით, რა მოსწონთ, რისი გაკეთება გაუადვილდათ, რის შეცვლას ისურვებდნენ სწავლა-სწავლების პროცესში. სკოლის განმარტებით, შეგროვებულ ინფორმაციას საგნობრივი მასწავლებლები და სამუშაო ჯგუფი იყენებს კურიკულუმის შექმნის პროცესში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლაში ვიზიტის დროს ინტერვიუებით დაზუსტდა, რომ დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, საგნობრივი კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საგნების პედაგოგები სამუშაო შეხვედრების ფარგლებში ერთობლივად გეგმავენ სასკოლო საგნობრივ კურიკულუმებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა აერთიანებს საგნობრივ კურიკულუმებს. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი ითვალისწინებსა სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის ფორმებს კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კერძოდ განსაზღვრულია მასწავლებლების, კათედრებისა და დირექციის ფუნქციები და პასუხისმგებლობები, დოკუმენტის მიხედვით საგნობრივ კურიკულუმს შეიმუშავებს მასწავლებელი და განსახილველად წარადგენს კათედრაზე. კოლეგებთან შეთანხმებით შემუშავდება კურიკულუმის საბოლოო ვერსია, რაც დამტკიცდება მომდევნო სასწავლო წლის დასაწყისში. სასწავლო წლის განმავლობაში კათედრებზე ხდება სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და დირექციისთვის წარდგენა. მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღწერილია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უნდა უძღოდეს წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზი და ამ პროცესში სასკოლო საზოგადეობის წევრების შეხედულებების კვლევა, რომელიც სასწავლო წლის განმავლობაში ციკლურად მიმდინარეობს, თუმცა დოკუმენტიდან არ ჩანს, როგორ აპირებს სკოლა მშობლებისა და მოსწავლეების ჩართულობის უზრუნველყოფას სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლურია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, რაც ასახულია წარმოდგენილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შემუშავებულ კურიკულუმებს უგზავნიან დირექციას, აცნობენ მშობლებს საინფორმაციო შეხვედრაზე. გაზიარებისთვის იყენებენ ასევე ტექნოლოგიებს: მშობლებს ვუგზავნით კომპლექსური დავალების პირობას მშობლის ბარათის სახით. მიღებულ უკუკავშირს ითვალისწინებენ საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის შემდგომი დაგეგმვისას. სასურველია კურიკულუმის განვიტარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დაკონკრეტდეს სასკოლო საზოგადოებასთან(განსაკუთრებით მსობლებთან და მოსწავლეებტან) კომუნიკაციის არხები.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია (სამუშაო ვერსია)
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
5. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
6. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
7. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან იკვეთება , რომ საგნობრივი კურიკულუმები იქმნება მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პარადიგმების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს სასწავლო პროცესის ორიენტირებას გრძელვადიან მიზნებზე, სასწავლო პროცესის დაფუძნებას კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე, უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას. შემუშავებული კურიკულუმები უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მართალია, სკოლის სასწავლო პროცესი ჯერ არ არის დაგეგმილი კომპლექსურიდან კომპლექსურამდე, მაგრამ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სტანდარტის საფეხურებრივი შედეგები და სამიზნე ცნებებზე აგებული კონსტრუქტივისტული პრინციპები. მიმდინარე კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც შუალედურ მიზნად გათვალისწინებულია კომპლექსური დავალება. კურიკულუმების ჩარჩო ძირითადად აგებულია მიწოდებული მატრიცებისა და კომპლექსური დავალებების ნიუშების მიხედვით, მაგრამ არის ცალკეული შეთხვევები, როცა მასწავლებელი ახდენს დავალების მოდიფიცირებას. ზოგადად კი შეიძლება ითქვას, რომ გათვალისწინებულია მოსწავლისთვის საინტერესო და განსხვავებული გამოცდილების, სხვადასხვა მოსაზრებების გაზიარება.

შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2 . კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)

საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. არსებული კომპლექსური დავალებების იდეებიდან და კომპლექსური დავალების ბარათებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში იკითხება, რომ მომდევნო სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია იმ თემების გათვალისწინებით, რომლებიც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის, ეს დაეხმარება მას

ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. შერჩეული კომპლექსური დავალებები შეძლებისდაგვარად გათვლილია ისეთი გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებაზე, როგორებიცაა: მოქალაქეობა, კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია და სხვა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო; რაც ითვალისწინებს ყველა მოსწავლის ჩართვას სწავლა--სწავლების პროცესში თავისი შესაძლებლობებისა და ინტერესების მიხედვით. დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები ხელს უწყობს მოსწავლეთა პიროვნული განვითარების უნარ-ჩვევების, დამოკიდებულებების ხელშეწყობას, აქტიურ და ეფექტურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, სკოლის მიერ წარმოდგენილ ისგ- დან დასტურდება, რომ მასწავლებლები გაკვეთილებს და სხვადასხვა აქტივობებს გეგმავენ დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესი იძლევა ყველა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; მართალია , ამ ეტაპზე საბაზო საფეხურზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, მაგრამ სკოლის საერთო პრაქტიკაა, სსსმ მოსწავლეებისათვის ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით სპეციალური მასწავლებლები შეიმუშავებენ საგნის მასწავლებელთან შეთანხმებით შესაბამისი კლასებისა და საგნების მიხედვით ადაპტირებულ კურიკულუმს და უწევენ შესაბამის დახმარებას მოსწავლეებს. ინტერვიუში მასწავლებლები საუბრობენ იმ მრავალფეროვან რესურსებზე, რომლებიც სსსმ პირთათვის ეფექტური საგანმანათლებლო სერვისებია.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ სკოლა აქტიურად იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, როგორც საგაკვეთილო თემის შესაბამისად, ასევე მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. მომავალი სასწავლო წლიდან განმავითარებელი შეფასება მოხდება კომპლექსური დავალებების შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით. ამჟამად სკოლა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს. როგორც იკვეთება, სასკოლო საზოგადოებასთან იმართება საინფორმაციო შეხვედრები განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელთან დაკავშირებით, მასწავლებლებთან ინტერვიუ ცხადყოფს, რომ სკოლა ახალ სასწავლო წელს განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელზე გადავა. კათედრას აქვს შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელთა დახვეწა და სრულყოფა იგეგმება ახალი სასწავლო წლისთვის.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

კურიკულუმის შედგენისას სასწავლო წლის დასაწყისში საბაზო საფეხურზე მასწავლებლები ითვალისწინებენ კლასის მოსწავლეთა აკადემიურ დონეს და გეგმავენ აკადემიურ სასწავლო პროცესს სწორად და მიზნობრივად, ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობებისა და შედეგების გათვალისწინებით, ეს კი ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის სწორად დაგეგმვასა და წარმართვას. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. ინტერვიუს დროს ამის შესახებ მასწავლებლები ხაზგასმით საუბრობენ.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების ფორმები
- 2022-23 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- კომპლექსური დავალების ნიმუშები მოდიფიცირებული;
- ადაპტირებული კომპლექსური დავალება სსსმ მოსწავლისთვის;
- ბრძანება ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;

- საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი მატრიცები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას**

საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს ორიენტაცია გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე. კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობები, კომპლექსური დავალებები აძლევს საშუალებას მასწავლებლებს დაგეგმოს მოსწავლეზე ორიენტირებული შემოქმედებითი სასწავლო პროცესი. გასაუბრებისას პედაგოგებმა გამოკვეთეს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის გზები(სასწავლო პროექტები, მრავალფეროვანი დავალებები, თანამშრომლობითი სწავლება). პედაგოგებთან ინტერვიუების დროს გამოვლინდა, რომ ყველა

მასწავლებელი ახორციელებედა კომპლესურ დავალებებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სკოლა აქტიურად მუშაობს სასკოლო პროექტებზე, რაც თავის მხრივ უკაშირდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალიწინებულ შედეგების მიღწევას. ინტერვიუების დროს პედაგოგემა გაამახვილეს ყურადღება მოსწავლეთა შედეგებზე და გამოწვევებზე, რომლებიც მათი თვალთახედვით აღნიშნული მიმართულებით აქვს სკოლას. აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ პედაგოგებს აქვთ მზაობა მათ მიერ მოდიფიცირდეს კომპლექსური დავალებები დაიტვირთოს ისეთი რესურსებითა და აქტივობებით, რომელიც ხელს შეწუყობს სასკოლო სივრცეში მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით**

წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, მათში შერჩეული თემები, საკითხთა კლასტერი, კონტექსტ მაგალითები, ცნებათა იერარქია, იქვე კომპლექსური დავალების განსახორციელებელი ნაბიჯები ასახავს ცოდნის კონსტრუირების შესაძლებლობას. აღნიშნული პროცესების დასტურად ინტერვიუში მასწავლებელთა მიერ დასახელებული მაგალითებიცაა, მაგალითად, საუბრობენ, როგორ ახერხებენ მოსწავლეებისთვის სწავლის სწავლას ანდა ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. ამ კუთხით მომავალ სასწავლო წელს კიდევ უფრო მეტი აქტივობა იგეგმება, 2023-24 სასწავლო წლისთვის შექმნილი და დანერგილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის კონსტრუირების საშუალებას მისცემს. აღსანიშნავია კათედრის მიერ წარმოდგენილი წლის დასაწყისში ჩატარებული სადიაგნოსტიკო ტესტირების შედეგები, რომლებიც მიიჩნევა მოსწავლეთა ცოდნის ათვლის წერტილად, ახალი ცოდნის კონსტრუირება კი არსებულზე დაფუძნებით ხდება. საგნობრივი კურიკულუმი აგებულია სტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო თემატურ ბლოკებზე დაყრდნობით. თემა , როგორც ნაცნობი კონტექსტი, ეხმარება მოსწავლეს ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, კომპლექსური დავალების შესრულების ეტაპები მიმართულია მოსწავლეებში შინაგან მოტივაციის გააქტიურებისკენ და ხელს უწყობს აქტიურ სწავლას. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს რომ თემების დამუშავებისას ისინი ეყრდნობიან მოსწავლეების წინარე ცოდნას, რისთვისაც იყენებენ შესაბამის ინსტრუმენტებს(შესასვლელი ბილეთები). კურიკულუმის განვიტარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი

ავალდებულებს მასწავლებელს შეისწავლოს ტიტოეული მოსწავლის პროგრესი და მიგნებები გაუზიაროს კოლეგებს კატედრაზე, ასევე გამოიყენოს სასწავლო პროცესში შესაბამისი ცვლილებების შესატანად.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

საბაზო საფეხურის მიერ წარმოდგენილი გაკვეთილების გეგმებიდან ჩანს, როგორ გამოიყენება სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი მეთოდები დამოუკიდებლად ცოდნის ასაგებად. კომპლექსური დავალებები და შესასვლელი და გასასვლელი ბარათების გამოყენება, აგრეთვე, მოსწავლეთა ურთიერთშეფასების მექანიზმის ,,მსმენლის დღიურის" გამოყენება მიანიშნებს, რომ სწავლის სწავლაზე კეთდება აქცენტი, რაც მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. მასწავლებლები ინტერვიუში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ისინი სასწავლო პროცესში ფასილიტატორის როლს ირგებენ და მოსწავლეებს მრავალფეროვანი მეთოდების დახმარებით უბიძგებენ ცოდნის აგებისკენ. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეა რამდენიმე თემისათვის თითოეულ კლასში. კომპლექსურ დავალებებში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება, დამოუკიდებელი მუშაობა, თვითრეფლექსია. ასეტი ტიპის დავალების წარმატებიტ სესრულება მოითხოვს სწავლის პროცესზე აქცენტირებას მოსწავლის მხრიდან, შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეს, გაიაზროს საკუთარი სწავლის პროცესი , დაფიქრდეს რა ხერხები და სტრატეგიები გამოიყენა დავალებების შესასრულებლად.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)

წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომლის მიხედვითაც სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, განხორციელებული სასკოლო პროექტები,

შესრულებული დავალებები, მათი რეფლექსიები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი უყალიბებს მოსწავლეებს როგორც დეკლარატიულ, ისე პროცედურულ და პირობისეულ ცოდნას. ინტერვიუში მასწავლებლები ამ პროცესებზე ხაზგასმით საუბრობენ. კათედრის მიერ დაგეგმილი კომპლექსური დავალებები არის პროექტული ტიპის, ხელს უწყობს შესასწავლი საკითხის სიღრმისეულ გააზრებას. 7-9 კლასების კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების წარმატებით შესასრულებლად მოსწავლეებს მოუწევთ ფაქტობრივი მასალის ათვისება, შესწავლილი მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირება, განზოგადება, პრობლემის გადასაჭრელად შეძენილი ცოდნის კონკრეტულ პირობებში გამოყენება. შეიძლება ითქვას რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში საბაზო საფეხურზე შესაძლებელია ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმში იკვეთება თემათა ისეთი თანმიმდევრობა , რომელიც მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას უზრუნველყოფს. რესურსებად მითითებულია მაორგანიზებელი ცხრილები და სქემები, რაც მოსწავლეებს დაეხმარება ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. აგრეთვე , საკლასო ოთახებში წარმოდგენილი თვალსაჩინოებები(ფოტომასალიდან), დამხმარე რესურსები სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას უზრუნველყოფს. განხორციელებული საგნობრივი თუ სასკოლო პროექტები ამ პროცესების ხელშემწყობია. მომავალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულება კიდევ უფრო მეტად დაეხმარება მოსწავლეებს ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. საბაზო საფეხურის მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია მოსწავლეთა წინარე გამოცდილების გათვალისწინებით, ნათლად ჩანს, რომ მათი სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში მოხდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. თემატური კონტექსტები შესაბამისობაშია მოსწავლეთა გამოცდილებასთან და ხელს სეუწყობს სასწავლო მასალის კავშირს მოსწავლის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ დიდ ყურდღებას აქცევენ საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები, აქტივობები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კომპლექსური დავალების მატრიცა
- სასწავლო პროექტები
- ისგ

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით**

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, შუალედური მიზნები კომპლექსური დავალებებით მიიღწევა. კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენის გათავისებას. წარმოდგენილ კურიკულუმის ნიმუშებში მკაფიოდ არის გამოკვეთილი სამიზნე ცნება და მასზე დაყრდნობით ქვეცნებათა იერარქია, რომელიც იძლევა იმის საშუალებას, რომ თემის ფარგლებში მოახდინოს მოსწავლემ ცოდნის განზოგადება და მისი მკვიდრ წარმოდგენებში ასახვა. ამის კარგი მაგალითია მოსწავლეების მიერ კომპლექსური ბუნების დავალების შესრულების შედეგად შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტი, რომელთა ფოტომასალა წარმოდგენილია კათედრის მიერ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას**

კურიკულუმის ჩარჩოებში დამუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტში მოცემული სავალდებულო თემებით. მაგალითად: მე-7 კლასის კურიკულუმში თემებში, სადაც დაგეგმილია კომპლექსური დავალების ჩატარება, თემა ძირითადად მუშავდება ავთენტური შინაარსის კომპლექსური შინაარსის დავალებებში. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სწავლებისას პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. დავალებებს არჩევენ ისე, რომ

მისი შესრულება საინტერესო და ამავდროულად დაძლევადი იყოს მოსწავლეებისათვის. კურიკულუმებიდან და კომპლექსური დავალებიდან იკვეთება, ასევე გასაუბრებიდან გამოჩნდა, რომ საგნობრივი კონტექსტების ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

საბაზო საფეხურზე კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები (შესასვლელი და გასასვლელი ბარათები, შეფასების განმავითარებელი რუბრიკა), მოსწავლეთა ურთიერთშეფასების ,,მსმენლის დღიური" მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების წინაპირობაა.. რადგან მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა და სასწავლო პროცესის შესაბამისად დაგეგმვა მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას შეუწყობს ხელს.კათედრას წარმოდგენილი აქვს შეფასების ინსტრუმენტები. საბაზო საფეხურზე მოქმედი შეფასების სისტემა ორიენტირებულია როგორც ფაქტობრივი ცოდნის შემოწმების, ასევე მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშეწყობაზე. წარმოდგენილია სხვადასხვა შეფასების რუბრიკა, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ნიმუშები, თემატური მატრიცები, რომლებიც ვალიდურია წარმოდგენილი კომპლექსური დავალებისა და ახდენს მოსწავლის მიღწევების დეტალურ ანალიზს თითოეული სამიცნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენებთან მიმართებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბაზო საფეხურზე, შექმნილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც სწავლა-სწავლების აუცილებელი კომპონენტია. მისი მთავარი ფუნქცია ობიექტურობის დაცვაა, რაც ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა არის სანდო და ვალიდური.

სადიაგნოსტიკო შეფასებები, მრავალფეროვანი განმავითარებელი შეფასების ფორმები ხელს უწყობს შეფასების სისტემის დახვეწას, მის ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას . სკოლის სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით დაგეგმილია შეფასების მხრივ დოკუმენტაციის დახვეწა და სრულყოფა.

დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

პედაგოგებთან ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ სწავლების პროცესში ითვალისწინებენ მიცემული დავალებების, შემაჯამებელი წერების/ტესტების, შეფასების რუბრიკების შესაბამისობას მიცემული დავალების მიზნებსა და მისაღწევ შედეგებთან. ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ პედაგოგები ითვალისწინებენ შეფასების ვალიდობას, სანდოობას, ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. სკოლამ მტკიცებულებებად წარმოადგინა კათედრების ოქმები და შეფასების რუბრიკები.
შესაბამისად, სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის დოკუმენტის ანალიზი და სკოლის არსებული პრაქტიკა გვაძლევს საშუალებას, რათა დავასკვნათ, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის წესის ამოქმედება ხელს შეუწყობს შეფასების სისტემის ხარისხის მექანიზმის ფუნქციონირებას. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში იკითხება, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით, აქვე ნათქვამია, რომ სკოლაში წლიური შეფასებები ფიქსირდება ელექტრონულ ჟურნალში, მოსწავლის პირად საქმეში და ინახება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის მიხედვით. მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასება კომენტარების სახით იტვირთება და ინახება

ღრუბლოვან სივრცეში. ახალ სასწავლო წელს სკოლა მონაცემებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად აღრიცხავს და შეინახავს..

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- · 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- საგნობრივი კურიკულუმები
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები;
- საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- მასწავლებლის პორტფოლიო;
- შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია გასული სასწავლო წლის ერთწლიანი სასწავლო გეგმა და ახალი (2023-24სასწ.წლის) გეგმის პროექტი, მათში გაწერილია ძირითადი ორიენტირები, რაც მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროცესის დანერგვისა და წარმართვის საშუალებას იძლევა. აქვეა ნათქვამი, რომ მოსწავლემ განათლება მიიღოს უსაფრთხო, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში, სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კათედრის წევრებს შორის ჩამოყალიბებულია ურთიერთმხარდაჭერისა და ურთიერთდახმარების თანამშრომლობითი ურთიერთობები, პედაგოგებს შორის წარიმართება კონსტრუქტივისტული დიალოგი, სკოლას წარმოდგენილი აქვს ურთიერთდასწრების ფურცლები. დიალოგიდანაც იკვეთება, რომ შექმნილია მიმღებლობითი გარემო.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სასწავლო პროცესი აგებულია მოსწავლეთა მხარდასაჭერად, ამისათვის თითოეული მოსწავლე დგას სწავლების ცენტრში და მისი შემოქმედებითი, კრიტიკული უნარების გასავითარებლად იგეგმება სასწავლო პროცესი ისე , როგორიცაა მაგ: მოდიფიცირებული კომპლექსური დავალება, დიფერენცირებული მიდგომები სასწავლო პროცესში. სადამრიგებლო საათების ჩანაწერებიც ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი სკოლაში წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

კათედრების წევრთა შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. ამის უზრუნველყოფისთვის კი მეტად მნიშვნელოვანია თანამშრომლობა, გუნდურობა. ეს ყველაფერი დასტურდება წარმოდგენილი კათედრის ოქმით და ურთიერთდასწრების ფორმებით. ასევე ეფექტურად მიმდინარეობს თანამშრომლობა მშობლებთანაც, მასწავლებლებმა წარმოადგინეს მშობლის ბარათები და ისაუბრეს მათ უკუკავშირებზეც.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრების პორტფოლიოები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლა მოსწავლის შესაფასებლად იყენებს მრავალფეროვან წყაროებს. კერძოდ, მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკების (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) ანალიზით ხდება მოსწავლის აკადემიური მოსწრების დინამიკაზე დაკვირვება.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ყველა იმ კონტექსტს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მოსწავლის შედეგებზე. კლასის დამრიგებლები მოსწავლეებისა და მშობლებისგან იღებენ შესაბამის ინფორმაციას მოსწავლის ინტერესებსა და მოსწავლის თავისუფალი დროის მართვაზე. მოსწავლის ქცევას სკოლაში აკვირდება კლასის დამრიგებელი.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

მოსწავლეების შეფასებისას გამოიყენება, როგორც დაკვირვება, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ანალიზი.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს .

4შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (საგნობრივი კურიკულუმები, კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია) იკითხება, რომ მოსწავლის შეფასებისას მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ ფაქტორებს, მათ ინტერესებს. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაადგინოს თუ რამდენად მონაწილეობენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა და/ან უშლიდა ხელს მათ ჩართულობას აღნიშნულ პროცესში.

ამრიგად მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს როგორც მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ შიდა ფაქტორებს ასევე გარე მამოტივირებელ ფაქტორებს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების;
- შეფასების რუბრიკები;
- სადამრიგებლო გეგმები და დამრიგებლის პორთფოლიოები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

შესწავლილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ სკოლამ მხოლოდ სასწავლო წლის ბოლოს განახორციელა კურიკულუმების შემუშავებისა და განხორციელების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება ,,ახალი სკოლის მოდელის" ფარგლებში შემუშავებული კომპლექსური დავალებებით სწავლებას და ორიენტირებულია ცნებებით სწავლების დანერგვაზე, როგორც გრძელვადიანი სასწავლო ორიენტირის გამოყენებაზე. მათ ეძლევათ შესაძლებლობა, სწავლების ყოველ წელს ანალიზის საფუძველზე გააკეთონ დასკვნები, გადახედონ საფეხურის ფარგლებში მიღწეულ შედეგებს და სასწავლო პროცესი დაგეგმონ გამოვლენილი პრობლემებისა და საჭიროებების საფუძველზე. ამას მოწმობს მასწავლებელთა სკოლის ფარგლებში არსებული პრაქტიკის ურთიერთგაზიარება, რაც დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიურების პროცესში, ასევე ჩანს კათედრის მიერ წარმოდგენილ მასალებსა და პედაგოგთა რეფლექსიებში. კათედრა გეგმავს თავისი საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებას სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად და ამ გამოცდილების გათვალისწინებით პასუხისმგებლობის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის მის ყველა დონეზე: ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

- წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სკოლას ჯერ არ აქვს სასკოლო კურიკულუმის რევიზირებული ვერსია, სადაც ასახულია მოსწავლეთა შედეგები საფეხურებისა და საგნების მიხედვით, ასევე არ იკვეთება სასწავლო მასალების ეფექტიანობისა და ვალიდობის მონაცემების ასახვა რაიმე სახით (ცხრილები, დიაგრამები, პრეზენტაციები), მაგრამ, სკოლაში არსებობს მასწავლებლების მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების (კომპლექსური დავალებები, სასწავლო თუ სასკოლო პროექტები) რეფლექსიები, გამოცდილების ურთიერთგაზიარების პრაქტიკა, რაც დასტურდება მასწავლებელთა ინტერვიუებითა და კათედრის ჩანაწერებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- .კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში არ იძებნებოდა და ვიზიტის დროსაც სკოლამ ვერ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. ვიზიტის პროცესში სკოლას მიეცა რეკომენდაცია და სკოლამ ვიზიტის დროს შექმნა და წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის სამუშაო ვერსია, რომელსაც ბრძანებით დაამტკიცებს 2023/2024 სასწავლო წლის დაწყებისას. სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის სამუშაო ვერსიაში დასტურდება, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარება არის უწყვეტი პროცესი, სადაც გათვალისწინებული არის სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის (მოსწავლე,

მშობელი, მასწავლებელი) ინტერესი და წარმოდგენები. სკოლის მიერ შექმნილი და წარმოდგენილი მეთოდოლოგია ითვალისწინებს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, აღნიშნული პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ეტაპებს. ინტერვიუს დროს დაზუსტდა სკოლის პრაქტიკაც, რომლის მიხედვითაც სკოლაში კურიკულუმის შემუშავება ხორციელდება შეხედულებებისა და ინტერესების, არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე (შეხვედრები კათედრის წევრებთან, მშობლებთან) სკოლამ წარმოადგინა კათედრის სხდომის ოქმები, სამოქმედო გეგმები, საიდანაც ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავება ხდება წინა წლების გამოცდილების შედეგად. სასკოლო კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩოს შექმნის პროცესში აქტიურად მონაწილეობს პედაგოგიური ჯგუფი, რომელიც კურიკულუმის შემუშავების და განვითრების პროცესში ხელმძღვანელობს სასკოლო საზოგადოების მიერ გაკეთებული რეფლექსიის საფუძველზე. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ასახულია კურიკულუმში, რითაც დადასტურებულად შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, პრიორიტეტების, შესაძლებლობებისა და მიზნების გათვალისწინების საშუალებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სკოლაში ვიზიტის პროცესში შექმნილი „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ (სამუშაო ვერსია) იზიარებს ჯგუფის რეკომენდაციებს. ინტერვიუს დროს დაზუსტდა, რომ კურიკულუმი ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. მისი შექმნის პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციის შედეგად მიღებული უკუკავშირი. პედაგოგებთან და სკოლის ადმინისტრაციულ ერთეულთან ინტერვიუს დროს დაზუსტდა, რომ სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშვებული სარეკომენდაციო პაკეტი გათვალისწინებული იქნება ყოველი ახალი სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების პროცესში. სკოლის პრაქტიკის მიხედვით სასწავლო წლის ბოლოს ტარდება მშობელთა კრებები, აქტიური კომუნიკაცია მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრებთან თუ რამდენად კმაყოფილი არიან კურიკულუმებში ასახული კომპლექსურ დავალებებზე მუშაობით, რა მოსწონთ, რისი გაკეთება გაუადვილდათ, რის შეცვლას ისურვებდნენ სწავლა-სწავლების პროცესში. სკოლის განმარტებით, შეგროვებულ ინფორმაციას საგნობრივი მასწავლებლები და სამუშაო ჯგუფი იყენებს კურიკულუმის შექმნის პროცესში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლაში ვიზიტის დროს ინტერვიუებით დაზუსტდა, რომ დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, საგნობრივი კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საგნების პედაგოგები სამუშაო შეხვედრების ფარგლებში ერთობლივად გეგმავენ სასკოლო საგნობრივ კურიკულუმებს. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით სკოლა გეგმავს სსკოლო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფას სასწავლო პროცესში, კერძოდ სასწავლო წლის განმავლობაში გამოიკვლიოს რამდენად გაითავისეს მათ სასკოლო კურიკულუმი, რამდენად შეძლეს მათ სკოლის მისიისა და კურიკულუმის დაკავშირება საკუთარ შეხედულებებთან და პრიორიტეტებთან; მნიშვნელოვანია კურიკულუმის განვიტარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დაკონკრეტდეს პროცედურები და ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობიტაც მოხდევბა სასკოლო საზოგადოების ინტერესების კვლევა და ასახვა სასკოლო გეგმებში. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა აერთიანებს საგნობრივ კურიკულუმებს. აღნიშნული დოკუმენტი არის საჯარო, რომელიც შემუშავებული წესის მიხედვით შესათანხმებლად წარედგინება სამეურვეო საბჭოს და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. ვიზიტის დროს შექმნილ მეთოდოლოგიაში დირექციის, საგნობრივი კათედრებისა და პედაგოგების როლი და ფუნქციები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, სწავლა-სწავლების პროცესში პედაგოგი კომპლექსური დავალების ეტაპების, შეფასების შესახებ ინფორმაციას უზიარებს მშობლებს, არის აქტიურ კომუნიკაციაში და ინდივიდუალურად მოიძიებს ახალ მიდგომებს, რათა სასწავლო პროცესში უფრო ეფექტურად ჩართოს მოსწავლე. ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია მეორე უცხო ენა. არჩევითი საგნებისა და წრეების შერჩევაში კი აქტურად არიან ჩართულნი მოსწავლეები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს/აკონკრეტებს დირექციის, კათედრებისა და პედაგოგების როლსა და ფუნქციებს კურიკულუმის შემუშავებაში. კურიკულუმი თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. -კურიკულუმებში წარმოდგენილი შერჩეული თემებიდან იკვეთება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება, მასწავლებლებთან ინტერვიუში გამოიკვეთა კათედრის მუშაობა, დიფერენცირებული მიდგომებით წარმართონ საგნის სწავლება, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ნიმუშები ცხადყოფს მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებას, მასწავლებლები საუბრობენ მშობლებთან მჭიდრო კომუნიკაციასა და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებაზე. ,,კურიკულუმის შემუშავებისას ვითვალისწინებთ სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებს. მიმდინარე სასწავლო წელს მასწავლებლებმა მოსწავლეებსა და მშობლებს შეხვედრებზე გავაცანით კომპლექსური დავალების ბარათები, მივიღეთ მათგან უკუკავშირი“ - აცხადებენ მასწავლებლები ინტერვიუში. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნა, რომ კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია (სამუშაო ვერსია)

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

კათედრების მიერ წარმოდგენილია საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები, რომლებიც ნათელყოფს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესს. კურიკულუმებში ერთი ან ორი თემის ფარგლებში მოცემულია კომპლექსური ბუნების დავალებები, კონტექსტ მაგალითები, რესურსები. კურიკულუმებში გათვალისწინებულია ყველა სავალდებულო თემა, თუმცა ყველა თემაზე კომპლექსური ბუნების დავალებების შექმნა იგეგმება მომავალი სასწავლო წლისთვის. სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის პროექტში ვკითხულობთ: ,, კათედრაზე მწირია კურიკულუმთა გადამუშავებული ვერსიები, უმეტესი მათგანი კონკრეტულმა მასწავლებლებმა

საკუთარი გამოცდილების და მოსწავლეთა შედეგების ანალიზის საფუძველზე შექმნეს. სამომავლოდ ამ კუთხით ვიმუშავებთ აქტიურად.“ მასწავლებლებთან ინტერვიუშიც იკვეთება კურიკულუმებზე მუშაობის პროცესი, რათა შემუშავებული კურიკულუმები გახადონ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვიარების გზად.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)

საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. არსებული კომპლექსური დავალებებიდან და კომპლექსური დავალების ბარათებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში იკითხება, რომ მომდევნო სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია იმ თემების გათვალისწინებით, რომლებიც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის, ეს დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. შერჩეული კომპლექსური დავალებები შეძლებისდაგვარად გათვლილია ისეთი გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებაზე, როგორებიცაა: მოქალაქეობა, კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია და სხვა.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

წარმოდგენილ გაკვეთილის გეგმებში, დავალებებში, მატრიცებსა და სასწავლო პროექტებში იკვეთება დიფერენცირებული ინკლუზიური მიდგომები. ინტერვიუში კათედრის წევრები საუბრობენ მოსწავლეებისთვის შეთავაზებულ დიფერენცირებულ სწავლების მეთოდზე:

,,სასწავლო მენიუზე". 2023-24 წლების სასკოლო სასწავლო პროექტში გაწერილია სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, აქედან გამომდინარე, ლოგიკურად ვასკვნი, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. საგნობრივი კურიკულუმით დაგეგმილ დავალებებს აქვს კომპლექსური ბუნება, დაგეგმილ თემებშიც გათვალისწინებულია საკმაოდ მრავალფეროვანი სასწავლო რესურსის გამოყენება, რაც კარგი საფუძველია გათვალისწინებულ იქნას თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროება და პოტენციალი. მაგალითად მეათე კლასში მონაცემთა ანალიზის თემის გავლისას დაგეგმილი კომპლექსური დავალება თამაშების სტრატეგიაზე იძლევა დიფერენცირებული მიდგომების დანერგვის საშუალებას. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი ავალდებულებს თითოეულ მასწავლებელს აღწეროს და კოლეგებს გაუზიაროს ინფორმაცია თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტებით შესაძლებელია შეფასდეს თითოეული მოსწავლის მიღწევები და საჭიროებები. სკოლას აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრას აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების გამოცდილება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ სკოლა აქტიურად იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, როგორც საგაკვეთილო თემის შესაბამისად, ასევე მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. მომავალი სასწავლო წლიდან განმავითარებელი შეფასება მოხდება კომპლექსური დავალებების შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით.

ამჟამად სკოლა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს. მომავალი წლიდან იგეგმება განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელზე გადასვლა. კათედრას აქვს შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. წარმოდგენილ მტკიცებულებებში არის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტების ნიმუშები, რომლებიც ეყრდნობა ესგ-ს შედეგების ტაქსონომიას, წარმოდგენას გვიქმნის კათედრაზე შეფასების წარმოების წესზე, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის განმავლობაში მუდმივად ახდენენ შეფასების სისტემაზე დაკვირვებას, თუ რამდენად სანდო ინფორმაციას იძლევა იგი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების დროს გათვალისწინებული იქნება კათედრაზე არსებული გამოცდილება. მათემატიკის კათედრის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აკეთებენ თვითრეფლექსიას, გასცემენ და იღებენ კონსტრუქციულ უკუკავშირს. მიღებული ინფორმაციის და შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება კურიკულუმის გადამუშავება, დახვეწა და განვითარება. სკოლის 2022-23 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის თანახმად, დაიგეგმა კათედრებზე სასწავლო პროცესის მონიტორინგი და მოსწავლეთა მიღწევის დინამიკის შედეგად თანმდევი დამატებითი სამუშაოების განხორციელება, თუმცა გაწეული სამუშაოს მტკიცებულებები კათედრას წარმოდგენილი არ აქვს. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, სასწავლო წლის განმავლობაში მასწავლებლებმა უნდა წარმოადგიონ განხორციელებული თემატურ მატრიცები და კათედრაზე შეთანხმდნენ, რა გაითვალისწინონ მომდევნო სასწავლო წლისთვის, წლის ბოლოს კი დაამტკიცონ გადამუშავებული კურიკულუმი ახალი სასწავლო წლისათვის;

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები
- 2022-23 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- ადაპტირებული კომპლექსური დავალება სსსმ მოსწავლისთვის;
- საშუალო საფეხურის შეფასების ინსტრუმენტები 2023-2024 სასწავლო წლისთვის.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი კომპლექსური ბუნების დავალებები, სხვადასხვა აქტივობები, მოსწავლეების ჩართულობა სასკოლო თუ საგნობრივ პროექტებში გვაძლებს დასკვნის საშუალებას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. პედაგოგებთან ინტერვიუების დროს გამოვლინდა, რომ ყველა მასწავლებელი ახორციელებედა კომპლესურ დავალებებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სკოლა აქტიურად მუშაობს სასკოლო პროექტებზე, რაც თავის მხრივ უკაშირდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალიწინებულ შედეგების მიღწევას. ინტერვიუების დროს პედაგოგემა გაამახვილეს ყურადღება მოსწავლეთა შედეგებზე და გამოწვევებზე, რომლებიც მათი თვალთახედვით აღნიშნული მიმართულებით აქვს

სკოლას. აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ პედაგოგებს აქვთ მზაობა მათ მიერ მოდიფიცირდეს კომპლექსური დავალებები დაიტვირთოს ისეთი რესურსებითა და აქტივობებით, რომელიც ხელს შეწუყობს სასკოლო სივრცეში მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

საშუალო საფეხურზე (მე-10კლ- მე-12კლ.) წარმოდგენილია კურიკულუმში გაწერილი თემებისა და საკითხების თანმიმდევრობა, რაც ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნაზე ახლის დაშენების შესაძლებლობას. უკვე შექმნილ კომპლექსურ დავალებებში განსახორციელებელი ნაბიჯები ასახავს ცოდნის კონსტრუირების შესაძლებლობას. აღნიშნული პროცესების დასტურად ინტერვიუში მასწავლებელთა მიერ დასახელებული მაგალითებიცაა. ამ კუთხით მომავალ სასწავლო წელს კიდევ უფრო მეტი აქტივობა იგეგმება, 2023-24 სასწავლო წლისთვის შექმნილი და დანერგილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის კონსტრუირების საშუალებას მისცემს. საგნობრივი კურიკულუმი აგებულია სტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო თემატურ ბლოკებზე დაყრდნობით. თემა , როგორც ნაცნობი კონტექსტი, ეხმარება მოსწავლეს ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, კომპლექსური დავალების შესრულების ეტაპები მიმართულია მოსწავლეებში შინაგან მოტივაციის გააქტიურებისკენ და ხელს უწყობს აქტიურ სწავლას. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს რომ თემების დამუშავებისას ისინი ეყრდნობიან მოსწავლეების წინარე ცოდნას, რისთვისაც იყენებენ შესაბამის ინსტრუმენტებს(შესასვლელი ბილეთები). კურიკულუმის განვიტარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი ავალდებულებს მასწავლებელს შეისწავლოს თითოეული მოსწავლის პროგრესი და მიგნებები გაუზიაროს კოლეგებს კათედრაზე, ასევე გამოიყენოს სასწავლო პროცესში შესაბამისი ცვლილებების შესატანად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი მეთოდები დამოუკიდებლად ცოდნის ასაგებად. კომპლექსური დავალებები და შესასვლელი და გასასვლელი ბარათების გამოყენება მიანიშნებს, რომ სწავლის სწავლაზე კეთდება აქცენტი, რაც მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. მეათე და მეთორმეტე კლასების კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეა რამდენიმე თემისათვის თითოეულ კლასში. კომპლექსურ დავალებებში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება, დამოუკიდებელი მუშაობა, თვითრეფლექსია. ასეტი ტიპის დავალების წარმატებით შესრულება მოითხოვს სწავლის პროცესზე აქცენტირებას მოსწავლის მხრიდან, შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეს, გაიაზროს საკუთარი სწავლის პროცესი , დაფიქრდეს რა ხერხები და სტრატეგიები გამოიყენა დავალებების შესასრულებლად.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)

კათედრის მიერ დაგეგმილი კომპლექსური დავალებები არის პროექტული ტიპის, ხელს უწყობს შესასწავლი საკითხის სიღრმისეულ გააზრებას. 10 და 12 კლასების კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების წარმატებით შესასრულებლად მოსწავლეებს მოუწევთ ფაქტობრივი მასალის ათვისება, შესწავლილი მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირება, განზოგადება, პრობლემის გადასაჭრელად შეძენილი ცოდნის კონკრეტულ პირობებში გამოყენება. შეიძლება ითქვას რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში საშუალო საფეხურზე შესაძლებელია ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

მეათე - მეთორმეტე კლასებისთვის წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების სრულ ვერსიებში გაწერილია შუალედურ სასწავლო მიზნებთან მისასვლელი ნაბიჯები, რომლებიც მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას განაპირობებს. ხშირია არაფორმარულ გარემოში მოსწავლეთა ცოდნის გადატანა და ურთიერთდაკავშირებაც. სასწავლო პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს საგანთა შორის ინტეგრაცია.ეს პროცესებიც ეხმარება მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- საგნობრივი კურიკულუმი;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები, აქტივობები;
- პროექტი და მისი ამსახველი ფოტო მასალა
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კომპლექსური დავალების მატრიცა
- სასწავლო პროექტები
- ისგ

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით**

მეათე- მეთორმეტე კლასების კურიკულუმის ჩარჩოდან იკვეთება ის, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. მომავალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილი სრულად შევსებული კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები , რომელთა გამოყენებით წარმართული სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენის გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში გაწერილი თემები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. კურიკულუმებში სამიზნე ცნება არის მთავარი ორიენტირი, რომელსაც მიემართება სწავლა-სწავლების პროცესი. კომპლექსურ დავალებები ორიენტირებულია ცნებებისა და ქვეცნებების დამუშავებაზე. ყველა თემაში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, მკვიდრი წარმოდგენები და საკვანძო კითხვები სტანდარტის შესაბამისად დაიგეგმება თემატურ მატრიცებში. საუბრისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს აქვთ სწორი წარმოდგენები საგნობრივ დაგეგმვასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია კომპლექსური დავალებების განხორციელების შემდეგ განხორციელდეს რეფლექსია ჩატარებულ სამუშაოზე, რომელშიც გამოიკვეთება რამდენად იყო მიმართული საგაკვეთილო აქტივობები გრძელვადიანი მიზნების შესრულებისკენ. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში და კათედრის გადაწყვეტილებაში კათედრას დეკლარირებული აქვს, რომ მომდევნო

სასწავლო წელს მოსწავლეების მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება და მასწავლებლების პედაგოგიკური საჭიროებების დადგენა მოხდება განხორციელებული თემატური მატრიცის საფუძველზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას**

საშუალო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი კონტექსტმაგალითები, შერჩეული თემები , ამასთანავე, სკოლაში განხორციელებული პროექტი ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კურიკულუმის ჩარჩოებში დამუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტში მოცემული სავალდებულო თემებით. მაგალითად: მე-10 კლასის კურიკულუმში თემებში, სადაც დაგეგმილია კომპლექსური დავალების ჩატარება(სამი კომპლექსური დავალება), თემა მუშავდება ავთენტური შინაარსის კომპლექსური შინაარსის დავალებებში. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სწავლებისას პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. დავალებებს არჩევენ ისე, რომ მისი შესრულება საინტერესო და ამავდროულად დაძლევადი იყოს მოსწავლეებისათვის. კურიკულუმებიდან იკვეთება, ასევე გასაუბრებიდან გამოჩნდა, რომ საგნობრივი კონტექსტების ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე**

საშუალო საფეხურზე სხვადასხვა თემის ფარგლებში შექმნილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც წარმოაჩენს მოსწავლის განვითარების დინამიკას და ზომავს მიღწევის შედეგებს, ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. კათედრას წარმოდგენილი აქვს შეფასების ინსტრუმენტები. საშუალო საფეხურზე მოქმედი შეფასების სისტემა ორიენტირებულია როგორც ფაქტობრივი ცოდნის შემოწმების, ასევე მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშეწყობაზე. წარმოდგენილია სხვადასხვა შეფასების რუბრიკა, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ნიმუშები, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებისა და ახდენს მოსწავლის მიღწევების დეტალურ ანალიზს თითოეული სამიცნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენებთან მიმართებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

პედაგოგებს აქვთ კურიკულუმები და შესაბამისი შეფასების რუბრიკები. შეფასების რუბრიკაში ასახულია რომელ სწავლის შედეგს მიემართება შეფასება. არის შერჩეული შეფასების აღმწერები კრიტერიუმებში. აქედან ჩანს, რომ მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. გასაუბრებიდან ნათელია, რომ მოსწავლეებს აქვთ გააზრებული რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. მოსწავლეებმა უნდა შეეძლონ დაინახონ რატომ არის მათი სწავლის შედეგი ღირებული და რა როლს ასრულებს ეს შედეგი მათი სწავლის პროცესში მიზანთან მიმართებით. პედაგოგები გეგმავენ შექმნან დახვეწილი, მკაფიო და არაორაზროვანი შეფასების სქემა შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტისათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

ამ ეტაპზე კათედრა სკოლაში არსებულ ვერიფიკაციის მექანიზმად ასახელებს დიაგნოსტიკური შეფასების პრაქტიკას, აგრეთვე , ხარისხის განვითრების ჯგუფის მიერ ჩატარებულ მოსწავლეთა შედეგების ანალიზს. ამის შესახებ მასწავლებლები ხაზგასმით საუბრობენ ინტერვიუს დროს. მოცემულ ეტაპზე სკოლას არ აქვს წარმოდგენილი, თუ როგორ გეგმავს შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციას, პროცესის ვერიფიკაციას და შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაციას;

6. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

კათედრის მიერ მოსწავლეთა მიერ მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და გაანალიზება ხორციელდება არსებული კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი დავალებების მიხედვით. ეს პროცესი მეტად უნდა დაიხვეწოს, რადგან წარმოდგენილი მონაცემების შესწავლის შემდეგ მოსწავლის საჭიროებებიდან გამომდინარე ცვლილებები უნდა შევიდეს ახალ კურიკულუმში. გასაუბრებისას გაირკვა, რომ კათედრაზე ინახება შეფასებებთან დაკავშირებული მტკიცებულებები და მასალა 3 წლის განმავლობაში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგნობრივი კურიკულუმი;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- სასწავლო პროექტები;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კომპლექსური დავალების მატრიცა
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- სასწავლო პროექტები
- ისგ
- მასწავლებლის პორტფოლიო;
- შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო

როგორც სკოლის 2023- 24 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში სკოლის ხედვის ნაწილშია აღნიშნული , მოსწავლემ განათლება უნდა მიიღოს უსაფრთხო, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში, ასევე იმავე დოკუმენტშია აღნიშნული, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას, ასევე როგორც სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაშია აღნიშნული , სკოლისთვის პრიორიტეტულია უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა და დასახუალია ამის მისაღწევად კონკრეტულად განსახორციელებელი აქტივობები, აქედან გამომდინარე ვფიქრობ რომ მომავალ წელს სასწავლო პროცესში შექმნილი იქნება მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად

კურიკულუმებიდან, კომპლექსური დავალების ნიმუშებიდან , ასევე სკოლის მიერ მოწოდებული 2023-24 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში აღწერილი სკოლის ფილოსოფიის ნაწილიდან გამომდინარე, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი სწავლა სწავლების ხუთივე კონსტრუქტივისტული პრინციპი, რომლებსაც დაეფუძნება სასწავლო პროცესი, შემიძლია დავასკვნა, რომ სასწავლო პროცესი მომავალ სასწავლო წელს წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას

სასწავლო პროცესი ნამდვილად ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია, მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ფორმები, მშობლების მიერ განხილული კომპლექსური დავალების ბარათები და მათი რეკომენდაციები ცხადყოფს სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე

4. სასწავლო გარემო დამყარებულია ნდობასა და კეთილგანწყობაზე. კათედრის წევრებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს აქვთ არჩევანის საშუალება, რაც გულისხმობს მათი უნარისა და შესაძლებლობების დაფასებას; იციან, რომ მასწავლებლები დადებითად შეხვდებიან მათ შეკითხვებს, განსხვავებულ მოსაზრებებს, წაახალისებენ შემოქმედებითობასა და კრიტიკულობას. კათედრამ ხაზი გაუსვა იმასაც, რომ დირექცია ხელს უწყობს უსაფრთხო და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული გარემოს შექმნას. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების ინსტრუმენტები და რუბრიკები;
- კათედრებს დებულება.
- ურთიერთდასწრების დოკუმენტი;
- კათედრის ოქმები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

კათედრა მზადაა, სკოლის საზოგადოებასთან თანამშრომლობის გზით, სრულყოს და განავითაროს კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. სკოლაში ბრძანებით შექმნილია ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლეიც მონიტორინგს უწევს სასწავლო პროცესს და ეფექტიან უკუკავშირს აძლევს მასწავლებელს. სასკოლო კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგისათვის კათედრა 2023-2024 სასწავლო წლიდან აპირებს ახლად შემუშავებული მეთოდოლოგიური ჩარჩოს საფუძველზე იმუშაოს. სასწავლო წლის განმავლობაში მოხდება პროცესების მონიტორინგი და შეფასება. საბაზო საფეხურის თითოეული მასწავლებელი მომავალი სასწავლო წლიდან განახორციელებს დაკვირვებას კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

2. კათედრის წევრების მიერ გაზიარებული ურთიერთდასწრების პრაქტიკა იმის მაგალითია, რომ მათთვის მნიშვნელოვანია ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება, მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მონიტორინგს არ აღიქვამენ დასჯის მექანიზმად. სკოლის მიერ განხორციელებული მონიტორინგის მიზანი სასკოლო საზოგადოების გაძლიერება და მხარდაჭერაა, რაც გამოიხატება სამი საკვანძო მიმართულებით: ანგარიშვალდებულება, მიღწევა და დაგეგმვა. როგორც პედაგოგები აღნიშნავდნენ, კათედრას აქვს გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებისა უკუკავშირის გამოცდილება. მომავალი წლიდან იგეგმება ურთიერთდასწრების პრაქტიკის კიდევ

უფრო გააქტიურება; კათედრაზე მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება ახალი დაკვირვების ფორმის შემუშავება, რომლის გამოყენება ხელს შეუწყობს კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

3. მონიტორინგი და შეფასება რომ პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას განსაზღვრავს დასტურდება იმით, რომ კათედრას შერჩეული აქვს სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც, ერთი მხრივ, დააკვირდება, რა ცოდნა აქვთ მოსწავლეებს საფეხურის სამიზნე ცნებებთან მიმართებით, მეორე მხრივ, გამოკვეთს ტიპურ პრობლემებს და დაგეგმავს აქტივობებს მათ გადასაჭრელად. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების შემდეგ ხდება სასკოლო საზოგადოების გაძლიერება და მხარდაჭერა. გამოიკვეთება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის, რაც გათვალისწინებული იქნება ახალი კურიკულუმის შედგენისას. სკოლაში კურიკულუმით განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგის უფრო ეფექტური მექანიზმის შექმნას, კურიკუმებისა და განხორცილებულ აქტივობების ანალიზის ფორმების შემუშავებას. რომელიც ხელს შეუწყობს დახვეწონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. (კათედრის ოქმები, დასწრების ფორმები,). ინდიკატორი

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

- სასწავლო ჯგუფების ანგარიშები;
- კათედრების ოქმები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება), მასწავლებელთა თქმით, მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. შეფასების ეტაპზე იყენებენ სხვადასხვა ინსტრუმენტს, რომელთაც აქვთ ჰოლისტური ხასიათი, თუმცა ფიქრობენ, რომ ამ მხრივ პრაქტიკას დახვეწენ და გააუმჯობესებენ ახალი კურიკულუმის დანერგვის პარალელურად.როგორც წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმიდან და განხორციელებული კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს: სასწავლო პროცესზე დაკვირვება, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები, შემაჯამებელი წერები, საკლასო და საშინაო დავალების შესრულება, ქვიზების გამოყენება, კითხვების დასმა;

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

2. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ საგაკვეთილო პროცესში იყენებენ სხვადასხვა მეთოდსა და სტრატეგიას. შესაბამისად, მრავალფეროვანი აქტივობები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის შეფასებას მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მართალია, მეტწილად ზეპირი განმავითარებელი კომენტარით აღიწერება მოსწავლეთა ცოდნა და გამოცდილება, მაგრამ ინტერვიუზე დაყრდნობით, მასწავლებლებს ესმით, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა კომპლექსურია და მოიცავს ბევრ სხვადასხვა მიმართულებას და ამ მოთხოვნას უნდა უპასუხოს მათმა საგნობრივმა კურიკულუმმაც. კათედრა იყენებს შეფასების სხვადსხვა ფორმას (დიაგნოსტიკა, გასასვლელი ბარათები, სოლო ტაქსონომია, შეფასების რუბრიკები), რაც საშუალებას აძლევთ დაინახონ შედეგი და დავგეგმოთ საჭირო მიდგომები აღმოჩენილი პრობლემის აღმოსაფხვრელად, კერძოდ, ითვალისწინებენ, რა გაუჭირდათ მოსწავლეებს და როგორ შეიძლება საკითხის გამარტივება ისე, რომ საგაკვეთილო პროცესი არ იყოს დამთრგუნველი და სწავლა-სწავლების პროცესი წარიმართოს ხალისით; **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

3. მოცემულ ეტაპზე მოსწავლეები ფასდებიან შესაბამის რუბრიკებზე დაყრდნობით, თუმცა მომავალი სასწავლო წლისთვის კათედრა ალტერნატიულ ინსტრუმენტებად განიხილავს ანკეტირებას, გამოკითხვას, ინტერვიუს, ფოკუს-ჯგუფს, თვისებრივ და რაოდენობრივ დაკვირვებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

კათედრა გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს კომპლექსური და მოიცვას სხვადასხვა მიმართულება: განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეზე დაკვირვება, მოსწავლეთა და მასწავლებელთა თვითშეფასების რუბრიკების გამოყენება. აცნობიერებს, რომ მოსწავლეთა შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია, გაითვალისწინოს არა მხოლოდ მოსწავლის ცოდნა, არამედ ამავე მოსწავლის ფუნქციური უნარ-ჩვევები. კათედრები შეფასებისას იყენებენ საგნობრივი სტანდარტის ფარგლებში შემუშავებული შეფასების რუბრიკებს, ასევე კომპლექსური დავალებების შესაბამისად შექმნილი განმავითარებელი და

განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც ეყრდნობა სამიზნე ცნებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გააქტიურებას, ასევე თემის ფარგლებში მისაღწევ შედეგებს. ამავდროულად, ის გეგმავს და ატარებს დიაგნოსტიკურ ტესტირებებს, რაც შესაძლებლობას აძლევს ერთმანეთს შეადაროს და ჰოლისტური სახით წარმოადგინოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით მიღებული შედეგები. ჩანს, რომ სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს, როლებიც მიმართულია სხვადასხვა ტიპის შემსწავლელთა გამოვლენისა და მათ საჭიროებებზე მორგებული დავალებების შექმნისაკენ. განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუშები ცხადყოფს, რომ მასწავლებლები ცდილობენ მის დაგეგმვას იმგვარად, რომ მონაცემების შეგროვება მოხდეს მრავალფეროვანი მეთოდებით, სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც შეამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და შესაძლებლობას მისცემს მათ სრული სურათის წარმოსადგენად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- წლიური სამოქმედო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმი;
- შემაჯამელი დავალებების ანალიზი.
- შეფასების რუბრიკები
-

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

1.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის მიზნით სკოლის ხარისხის შიდა მონიტორინგის ჯგუფი შეისწავლის შემაჯამებელი/კომპლექსური დავალებების ანალიზებს და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს. სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით რეკომენდაციებს შეიმუშავებს კათედრა. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმის განახლება ხდება წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; კურიკულუმის რევიზიისას გათვალისწინებული იქნება წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზი, თუ რამდენად მიმდინარეობს დაგეგმილის შესაბამისად პროცესები და რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. განსაახლებლად. 2023-2024 სასწავლო წლის ბოლოს კათედრაზე მოხდება მასწავლებლების მიერ გასული სასწავლო წლის კურიკულუმის რევიზია და გადასინჯვა, შედეგებს კი გაითვალისწინებენ მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენისას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

2. წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ კათედრის მიერ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სასკოლო საზოგადოების წევრთა მიერ საჭიროების დადგენა კურიკულუმის განვითარებისა და ცლილებების წინაპირობაა. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც ასახულია როგორ ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის რევიზია. დოკუმენტის თანახმად, ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უნდა უძღოდეს წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. ინტერვიუირებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები დაშენდება წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგის შედეგებზე. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ წელს პირველად შექმნეს კურიკულუმი და წინა წლებში ამის გამოცდილება არ ჰქონიათ. გეგმავენ, რომ მომდევნო სასწავლო წლიდან ყოველი სასწავლო წლის ბოლოს მოახდინონ კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება, შედეგად გადამუშავებულ ვერსიას გაუზიარებენ სასკოლო საზოგადოებას. კურიკულუმის რევიზირებული ვერსიის შესაქმნელად ჩაერთვება არა მხოლოდ ის მასწავლებელი, რომელიც ახორციელებდა ან უნდა განახორციელოს კონკრეტული კურიკულუმი, არამედ საგნობრივი კათედრის ყველა მასწავლებელი და სასკოლო საზოგადოების ყველა ის წევრი ვისაც რაიმე წვლილი შეაქვს კურიკულუმის განვითარებაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია (დამტკიცებულია დირექტორის 2023 წლის 11 ოქტომბრის N135/ძ.ს ბრძანებით)

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

1. ვიზიტის დღის წესრიგი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ლევან მადათოვი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზაზა ჭანტურია

თამარ ოღლიშვილი

ნინო თედორაძე

მარიამ მატიაშვილი

სალომე არაბიძე

ვერა გუდაძე

ია სეხნიაშვილი

ავთანდილ კეჭაყმაძე

მურად ფახურიძე

მაკა ნატროშვილი

01.11.2023

თარიღი